# ახალი განათლება

05-11.03.2020

№7 (881) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge





## ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:



**კორონავირუსები** წარმოადგენენ ვირუსების ოჯახს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ როგორც **ნაკლებად მძიმე დაავადება**, მაგალითად – ჩვეულებრივი გაციება, ასევე **უფრო მძიმე დაავადებები, მათ შორის – მძიმე რესპირატორული სინდრომი.**



ახალი კორონავირუსი არის კორონავირუსების ახალი შტამი, **რომლის იდენტიფიცირებაც ადრე ადამიანში არ მომხდარა.** გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს, ძირითადად – **ინფიცირებულ ადამიანთან ახლო კონტაქტის შემდეგ.**

## ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად:

- ✓ რესპირატორული ინფექციის მქონე ადამიანებთან კონტაქტისგან თავის არიდება.
- ✓ ხელების ხშირი დაბანა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირდაპირი კონტაქტი ადამიანთან ან იმ გარემოსთან, სადაც სიმპტომების მქონე პაციენტი იმყოფება.
- ✓ ქუჩაში ცხოველებთან ან/და ფერმებთან დაუცველი კონტაქტისგან თავის არიდება.
- ✓ რესპირატორული ინფექციის მქონე ადამიანების მიერ ხველის ეტიკეტის დაცვა.
- ✓ რესპირატორული ინფექციის მქონე პაციენტმა გამოიყენოს ნიღაბი, მიმართოს ექიმს და მოუყვეს მოგზაურობის ისტორია.



**კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შექმნა სპეციალური ვებგვერდი – StopCov.ge – რომელზეც ამომწურავ ინფორმაციას მიიღებთ ახალ ვირუსთან დაკავშირებით.**

**ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი – 1505  დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი – 116 001**

# კარგად დასალაგებელი მესამე საფეხური – რა შეცვალა CAT-ის გამოცდების გაუქმებამ

ლალი ჯელაძე

*გასულ წელს, მიხეილ ბატიაშვილის მინისტრობის პერიოდში, განათლების სამინისტრომ გამოსაშვები გამოცდების გაუქმების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, რის შედეგადაც დროებითი ცოდნის დაგროვება, რომელიც მხოლოდ გამოცდების ჩაბარებაზე იყო ორიენტირებული და მოსწავლეთა რეალურ შესაძლებლობებს ვერ აფასებდა, წარსულს ჩაბარდა. დღეს მეთორმეტეკლასელს აღარც 12 გამოცდის ჩაბარების შიშის დაძლევა უწევს და აღარც მის მშობელს ამდენივე საგნის რეპეტიტორისთვის გადასახდელი თანხის მოძიება, რაც, ხშირ შემთხვევაში, მართლაც უმძიმეს ტვირთად აწვა ოჯახებს. მოკლედ, ფინანსური რესურსიც დაიზოგა და ბავშვების ნერვებიც, მაგარამ ამის გარდა, საინტერესოა, რა შეიცვალა სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით? რა გავლენა იქონია (საერთოდ, იქონია თუ არა?) კატის გამოცდების გაუქმებამ განათლების ხარისხზე?*

*„სკოლის როლის დაბრუნების გარეშე, შეუძლებელია მაღალი ხარისხის განათლებაზე საუბარი“ – რეფორმის ინიციატორი მინისტრი ამ როლის დაბრუნების ერთ-ერთ გზად სწორედ გამოცდების გაუქმებას განიხილავდა. დაიბრუნა თუ არა ამ გადაწყვეტილებით სკოლამ დაკარგული როლი და ახლა რის საფუძველზე გაიცემა ატესტატი? – წაიკითხეთ სკოლის დირექტორების შეფასებები.*



**გულნაზ ხორბალაძე**
**№128 საჯარო სკოლის დირექტორი**

მეთორმეტე კლასში, წელს, მოსწავლეების შეფასებას გამოცდის სახით არ ვგეგმავთ, ატესტატი გაიცემა ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი წესის მიხედვით – საფეხურის დაჯამების საფუძველზე. მათ, გარკვეულწილად, სხვადასხვა საგნები უკვე ჩაბარებული აქვთ IX, X და XI კლასებში. ესგ-ში არსებობდა ჩანაწერი, რომ ატესტატს მეთორმეტეკლასელები მიიღებდნენ გამოსაშვები გამოცდების – კატის გამოცდების ჩაბარების შედეგად, თუმცა, გამოცდების გაუქმების შემდეგ, ბუნებრივია, ეს ჩანაწერიც აღარ არსებობს და ახლა ქულა მიიღება მეთორმეტე კლასში მიღებული ნიშნების შეჯამების საფუძველზე, ანუ ყველა საგანში დაჯამდება წლიური ქულები, ვისაც 30% გაცდენა დაუფიქსირდება, ექსტერნის გამოცდის დაძლევა მოუწევს.

რა შეცვალა კატის გამოცდის გაუქმებამ? ჩემი დაკვირვებით, მასწავლებლებს მეთორმეტე კლასის გაკვეთილები ახლა უფრო მეტად ეროვნული გამოცდებისკენ მიჰყავთ და უფროსკლასელებს იმ სირთულეების დაძლევაში ეხმარებიან, რაც რეალურად მათ წინაშეა. მაგალითად, ზოგს მათემატიკაში უჭირს მეტად, ზოგს – ქართულში, ნაწილს კიდევ – სხვა საგნებში. ამიტომ, მასწავლებელი მათი საჭიროებიდან გამომდინარე მოქმედებს. გარდა ამისა, პოზიტივია ისიც, რომ ახლა მოსწავლე ერთი მიმართულებით ფიქრობს და აღარ არის გაორებული, როგორც ეს გამოსაშვები გამოცდების დროს იყო. არ იცოდა, რომლისთვის მიეხედა, ორცეცხლშუა იყო მოქცეული – კატის გამოცდებსა და ეროვნულ გამოცდებს შორის. ერთი მხრივ, თითქოს, ეს კარგია, მაგრამ შეიძლება – არასაკმარისი. მოსაფიქრებელია შიდაშეფასების ბერკეტი ან ორსაფეხურიანი (ორნაწილიანი) ეროვნული გამოცდები, რომელიც სკოლის პროგრამასა და მისაღებ პროგრამას ერთ გამოცდაზე შეამოწმებს. ეს მოსწავლის პასუხისმგებლობასაც აუცილებლად გაზრდის. ადრე იყო საუბარი ამ ტიპის გამოცდაზე, ორნაწილიან ტესტზე, რომელიც ერთდროულად შეაფასებდა, როგორ არის მომზადებული ახალგაზრდა სასკოლო პროგრამის მიხედვით და უმაღლესში მისაღები გამოცდისთვის, ერთ გამოცდაზე ორ შედეგს აჩვენებდა. ეს მართლაც მშვენიერი იდეა იყო, თუმცა, ჯერჯერობით, ამის შესახებ საუბარი აღარ მიდის.

ამ ტიპის გამოცდას ვემხრობი, მაგრამ არა ცალკე გამოსაშვებ გამოცდას, მით უფრო ისეთს, როგორიც კატის გამოცდა იყო – მხოლოდ რაოდენობრივ ცოდნაზე გათვლილი და არა უნარებზე, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებზე. ეს „წყალწყალა“ გამოცდა იყო, რომელიც მხოლოდ კონცეპტუალურ საკითხებს ამოწმებდა და გამოცდიდან გამოსული მოსწავლე ვერ გეუბნებოდა (რადგან თავადაც ვერ იგებდა), რაში მიიღო 5, 6 ან 10 ქულა.

რომ შევაჯამო, ერთ წელიწადში, კატის გამოცდების გაუქმებას რაიმე სერიოზული ცვლილება არ მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ მოსწავლე ფსიქოლოგიურად განიტვირთა.

რაც შეეხება იმას, თუ რის საფუძველზე გაიცემა სკოლის ატესტატი, ერთმნიშვნელოვნად გეტყვით, რომ მოსწავლე ატესტატს საკუთარი შრომის შედეგებით მიიღებს – საკლასო-საშინაო დავალებები, სემესტრული ნიშნები, წლიური ნიშნები და ა.შ. წელს მეთორმეტე კლასში გამოცდა იმიტომ არ დავნიშნეთ, რომ პირველი წელია და ვაკვირდებით, რა მოჰყვება ამ ცვლილებას, სხვა მხრივ, სკოლას თავისუფლად შეუძლია ჩაატაროს შიდა გამოცდა და შეაფასოს მეთორმეტეკლასელი.

გამოცდის გაუქმებამ სწავლის მოტივაცია ხომ არ გააქრო – არა, ამას ვერ ვიტყვი. შესაძლოა, მოსწავლეთა ნაწილი მართლაც ასე ფიქრობს, ბოლოს მაინც არავინ მამოწმებს გამოცდით და რატომ ვისწავლო, როცა შეიძლება უფრო იოლად გამოვძვრე, არ ვიცი, მაგრამ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი ახლა იმ პროფილებით მუშაობენ უფრო ინტენსიურად, რა პროფილიც აქვთ არჩეული. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია. როცა ორი მიზანი გაქვს ერთდროულად მისაღწევი, მაშინ უფრო მეტად იბნევი, ეს დიდებსაც გვიჭირს, არათუ მოსწავლეებს. უძილო ღამეების ხარჯზე რთულია მიზნის მიღწევა. ასეთ რეჟიმში იყვნენ მოსწავლეები, რომლებიც სწავლობდნენ მეთორმეტე კლასში – მთელი წელი მეცადინეობდნენ როგორც კატის გამოცდებისთვის, ისე ეროვნული გამოცდებისთვის. ამიტომ, მხარს ვუჭერ კატის გამოცდების გაუქმებას, თუმცა, შეიძლება სხვაგვარად მოხდეს საშუალო საფეხურზე მოსწავლის მიღებაც და საფეხურის დასრულებაც. საბაზოდან საშუალოზე გადასასვლელად მოსწავლეს მეტი უნდა მოვთხოვოთ ისევე, როგორც საშუალო საფეხურის დასრულებისას. შესაძლოა, სამინისტროში მოფიქრებულიც აქვთ რამე, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ამ მოლოდინში ვართ, რომ შეიცვლება მიდგომებიც, გაკვეთილის ფორმაც, პროფილებიც და ა.შ. ეს აუცილებელია, რადგან, ის, რაც ამ ეტაპზე გვაქვს, ხარისხიანი არ არის. მესამე საფეხური კარგად დასალაგებელია, თავის გამოცდებთან ერთად.



**თამთა კვარაცხელია**
**ბათუმის №16 საჯარო სკოლის დირექტორი**

ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, იმ ფორმით გამოსაშვები გამოცდების არსებობა (ვგულისმობ კატის) შეცდომა იყო. თავდაპირველად, გამოცდების დანიშვნამ თითქოს დადებითი გავლენა იქონია მოსწავლეებზე იმ კუთხით, რომ მეტი ყურადღება მიაქციეს სწავლას, სკოლაში სიარულს, გაკვეთილებსაც უფრო აქტიურად ესწრებოდნენ – სკოლა უფრო მეტად იქცა ცოდნის მისაღებ ადგილად, მაგრამ მერე, დროთა განმავლობაში, როგორც ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, ამას მიეჩვივნენ და თავს აღარც გამოცდების გამო იწუხებდნენ და სკოლაში სიარულის გარეშეც ახერხებდნენ, როგორღაც, ჩაბარებას. მოსწავლეები მხოლოდ დაზეპირებაზე გადავიდნენ, სხვათა შორის, მასწავლებლებიც. მოკლედ, ყველაფერი მხოლოდ ამ გამოცდებზე იყო ორიენტირებული! რაც მთავარია, ეს გამოცდები მოსწავლეთა უნარების გამოლენას ვერ ახერხებდა, ამ მიმართულებითაც მახინჯი სახე მიიღო, ამიტომ ცვლილებები გარდაუვალი გახდა.

მეორე მხრივ, ცხადია, გამოცდების გაუქმებამ უარყოფითად იმოქმედა მოსწავლეთა დასწრებაზე. მაგრამ მთავარი ის კი არ არის, გამოცდა იქნება თუ არა, მთავარია როგორია ნდობის ხარისხი – როგორ ენდობა მოსწავლე და მშობელი სკოლას. ამ მხრივ, სავალალო მდგომარეობაა ზოგადად ქვეყანაში. მუდმივად ტრიალებს აზრი, რომ სკოლა მოსწავლეს ვერ აძლევს იმ დონის განათლებას, რასაც საზოგადოება მოითხოვს და ა.შ. თუმცა, ასე ერთმნიშვნელოვნად ამის თქმა არ შეიძლება. ხარისხიან სწავლებაზე არანაკლები პრობლემაა სწორედ ნდობა, ხშირ შემთხვევაში სკოლა კარგ განათლებას აძლევს მოსწავლეებს, მაგრამ მას მაინც არ ენდობიან არც მოსწავლეები და არც მშობლები. სამწუხაროდ, შესაძლოა, ამაში მასწავლებლების წილიც დიდია.

ახლა დღის წესრიგში სხვაგვარი გამოცდები და სხვა ფორმით შეფასება დგას. ვიდრე სახელმწიფო ამ ნაბიჯებს გადადგამს (მჯერა, რომ აუცილებლად გადადგამს, რადგან ეროვნული გამოცდებიც მოძველდა და აუცილებლად უნდა შეიცვალოს), მანამდე, შესაძლებელია, სკოლამ თავად შეცვალოს დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. მაგალითად, დანიშნოს შიდა გამოცდები – კლასიდან კლასში გადასაყვანი (ამას არ კრძალავს ეროვნული სასწავლო გეგმა) ან ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები, რომელიც საუკეთესო იქნება ჩვენს რეალობაში იმიტომ, რომ განმავითარებელი შეფასების საშუალებას იძლევა. ასეთი ტიპის შეფასებები აუცილებელია იმიტომ, რომ, თუნდაც, ის დაკარგული ნდობა აღიდგინოს სკოლამ. რაც მთავარია, გამოცდა გამოჭერის საშუალებად კი არ უნდა იქცეს, არამედ გახდეს აქტივობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლის პროგრესისთვის განხორციელდება, იმისთვის, რომ მოსწავლემ, მშობელმა და მასწავლებელმა დაინახონ რეალურად ძლიერი და სუსტი მხარეები. მხოლოდ ასეთი ღონისძიებებით შეუძლია სკოლას შექმნილი ვითარების გამოსწორება.

წელს ჩვენ მეთორმეტეკლასელების გამოცდის ფორმით შეფასებას არ ვგეგმავთ, იმიტომ, რომ ეს ძალიან საფრთხილო ამბავია, დიდ გამოცდილებასა და დამატებით ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. ვფიქრობ, მოსწავლეებისთვის კარგი შემაჯამებელი დავალებების შეთავაზება და დიაგნოსტიკური წერები საუკეთესო გამოსავალი იქნება. თუმცა, მე-12 კლასში, წელს, ამას ვერ ვგეგმავთ, მე-11, მე-10 და მე-9 კლასებში კი ვატარებთ. გულწრფელად გეტყვით, რომ ძალიან ვფრთხილობთ, რადგან ამისთვის სერიოზული მომზადება გვჭირდება.

მომავალ წელს, თუ არაფერი შეიცვალა, აუცილებლად ჩავატარებთ ასეთი ტიპის შეფასებებს, რადგან უკვე სათანადო გამოცდილება გვექნება, თუნდაც წინა კლასებში ჩატარებული დიაგნოსტიკური წერების სახით. დამამთავრებელი კლასი მაინც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, ამიტომ რას გავაკეთებთ მომავალ წელს, ამაზე ზაფხულის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ. სერიოზული გამოცდილება დაგვიგროვდება, რადგან ყველა ნაწერი დეტალურად გაანალიზდება და გადაწყვეტილებას ამის შედეგად მივიღებთ.

ზოგადად კი, გამოცდების გაუქმებით, ცხადია, დამოკიდებულება შეიცვალა და ეს ბუნებრივიცაა – ისე გამოვიდა, რომ მაშინ მოსწავლეთა ნაწილი გამოცდების შიშით დადიოდა სკოლაში. თუმცა, ახლაც ასეა – ნაწილი სკოლაში მხოლოდ იმის გამო დადის, რომ ექსტერნის ჩაბარება არ მოუწიოს, ნაწილი კი იმისთვის, რომ ისწავლოს და ეროვნული გამოცდები ჩააბაროს, საბოლოოდ, მაინც გამოცდებამდე მივდივართ.

რაც შეეხება ატესტატის მიღებას, ვფიქრობ, წელს მოსწავლეებს ეს არ გაუჭირდებათ, ყოველ შემთხვევაში იმათ, ვინც დადიოდა სკოლაში, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილი 10-ბალიანი შეფასებიდან, მოსწავლე, რომელიც მინიმალურ ზღვრად დადგენილი 5 და მეტი ქულით შეფასდება, ატესტატს მიიღებს. ეს კი, ნამდვილად არ არის შეუძლებელი. ჩვეულებრივი მოსწავლე, რომელიც არ აცდენს სკოლას და გაკვეთილებს ესწრება მთელი წლის განმავლობაში, ადგილობრივად შესრულებული დავალების საფუძველზე ფასდება და თავისუფლად შეძლებს ამ ბარიერის დაძლევას. თუმცა, ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში არ დადიან, არ შეფასდებიან და ექტერნატის გამოცდით შეფასება მოუწევთ. ჩემს სკოლაში, ამ მხრივ, ცუდი მდგომარეობა არ გვაქვს, რადგან ბავშვები თავად ერიდებიან ექსტერნის ჩაბარებას.



**თამარ კაპანაძე**
**თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი**

რა თქმა უნდა, სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, უფლება აქვს, თავად დანიშნოს სასკოლო გამოცდები არა მხოლოდ მეთორმეტე კლასში, არამედ სხვა კლასებშიც. ჩვენ არ მიგვიღია გადაწყვეტილება, რომ მე-12 კლასში გამოცდები დაგვენიშნა, თუმცა, სხვა კლასებში ორ-ორ გამოცდას ვატარებთ. მეთორმეტე კლასში იმიტომ არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად გამოცდის ჩატარება, რომ მაინც რთული პერიოდია მოსწავლეებისთვის – ეს წელი მათგან ძალიან დიდი ადამიანური რესურსის გაღებას მოითხოვს, წინ ეროვნული გამოცდები აქვთ, ასევე, მთელი წლის განმავლობაში, სასკოლო მასალა აქვთ მოსამზადებელი, რომ დადებითი ნიშნები მიიღონ – ყველა საგანში, მინიმუმ, 5 ქულა. ამიტომ, კიდევ გამოცდის დანიშვნა საჭიროდ არ ჩავთვალეთ. 5 ქულის მოპოვების შემთხვევაში, მოსწავლეები ატესტატს მიიღებენ.

ზოგადად, რატომ არის გამოცდა ცუდი, თუკი ის ცოდნის შეჯამებას მოახდენს? ამ კუთხით, ბავშვების განწყობაზეა სამუშაო. საგნების შესწავლა პერმანენტულად, სასწავლო გეგმით გაწერილ დროში უნდა მიმდინარეობდეს, ეს უნდა იყოს გაწელილი პროცესი და არა გამოცდებისთვის, ორ-სამ თვეში, მომზადებული საგანი. ცხადია, მოსწავლე მხოლოდ გამოცდებისთვის არ უნდა ემზადებოდეს. ზოგადად, ფსიქოლოგიაშიც ასეა, გამოცდისთვის მომზადებული საგანი, გამოცდიდან გამოსვლის შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, უკვალოდ ქრება, მარტივად რომ ვთქვათ, არაეფექტურია. ჩვენც ვადასტურებთ ამას, რომ ორ-სამ თვეში ძალიან რთულია საფუძვლიანად შეისწავლო ორ-სამ წელიწადში ასათვისებელი მასალა. ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ წლის ბოლოსთვის ჰქონდეთ ბავშვებს მზაობა იმისთვის, რომ სკოლა შიდა გამოცდებს ჩაუტარებს.

ასე რომ, ვერ გეტყვით, რომ კატის მოხსნამ რამით დაგვაზარალა, ცოდნის მიღების ან დასწრების თვალსაზრისით. პრინციპში, კონკრეტული ორგანიზაციის გადასაწყვეტია რა შეღავათებს დააწესებს გაცდენებზე. ჩვენ არანაირი შეღავათი არ დაგვიწესებია, რადგან ვფიქრობთ, ეს ძალიან ცუდი სამსახური იქნება ჩვენი მხრიდან. ამიტომ, ბავშვები სკოლაში დადიან, ყოველ შემთხვევაში, აკონტროლებენ გაცდენების დაწესებულ 30%-იან ზღვარს თითოეულ საგანში, რომ არ დასჭირდეთ ექსტერნის ფორმით გამოცდის ჩაბარება. ძირითადად, მაღალ კალსებში 70-80%-იანი დასწრება გვაქვს.

მოტივაციაზე კი, გამოსაშვები გამოცდების მოხსნა ვერ იმოქმედებდა ძალიან მარტივი მიზეზი გამო – თუ მე მხოლოდ გამოცდისთვის ვსწავლობ, მოტივაცია ისედაც არ მაქვს, თუ ზოგადად ვსწავლობ, ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ მოტივირებული ვარ და მხოლოდ გამოცდისთვის არ ვსწავლობ.

## ზოგადი განათლება



**თამაზ კილაძე**
**ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი:**

კატის გამოცდის მოხსნამ რეალურად არაფერი შეცვალა, ერთადერთი – მოსწავლეს აღარ აქვს მოლოდინი, რომ წლის ბოლოს 12 საგნის ჩაბარება მოუწევს. მეთორმეტეკლასელთა დასწრება არც კატის გამოცდების დროს იყო მაღალი და არც მისი გაუქმების შემდეგაა, დასწრების ხარისხი ამით არ შეცვლილა. მეთორმეტეკლასელებს, დასწრება რომ მაღალი იყოს, 12 საათზე უმთავრდებათ სასწავლო პროცესი (სამი გაკვეთილი, ხანდახან მეოთხე გაკვეთილზეც უწევთ დასწრება). ასე რომ, არასწორი იქნება შეფასება, თითქოს კატის გამოცდების დროს უფრო მეტად დადიოდნენ სკოლაში და ახლა ნაკლებად დადიან. დასამალი არ არის, რომ ამ კუთხით სახარბიელო მდგომარეობა არც მაშინ გვქონდა და არც ახლა გვაქვს. ქართულის, მათემატიკის, უცხო ენის, ისტორიის გაკვეთილებს ყოველთვის უფრო ესწრებოდნენ მოსწავლეები და ახლაც ასეა, ეს საგნები უფრო მეტად სჭირდებათ ეროვნულ გამოცდებზე, განსაკუთრებით იმ კატეგორიას, რომელიც სწავლაზეა ორიენტირებული. ისინი, შეიძლება, რეპეტიტორთანაც დადიოდნენ, მაგრამ სკოლაში ცოდნის მიღების შესაძლებლობასაც არ კარგავენ.

ჩემი აზრით, სასურველია, გამოცდა საბაზო განათლების საფეხურის დამთავრებისას ჩატარდეს, დამამთავრებელ კლასში გამოცდის ჩატარება, მით უფრო იმ სტილით, როგორიც გვქონდა, არაფრისმომცემია. გამოსაშვებ გამოცდაზე ისეთი მოსწავლეები იღებდნენ მაღალ ქულებს ან პირიქით, დაბალ ქულებს, გაოცდებოდი. ამიტომ, იქ, სადაც შემთხვევითობაა, გამოცდას არანაირი აზრი არ აქვს. გამოცდას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ მოსწავლის უნარებს შეამოწმებს, გამოავლენს მის შესაძლებლობებს წაკითხულის გააზრებასა და კრიტიკულ აზროვნებაში, გვიჩვენებს შეუძლია თუ არა მას მსჯელობა, დასაბუთება და ა.შ. კატის გამოცდა კი, უბრალოდ, იყო მექანიზმი, რომ სკოლაში, ერთი კვირის განმავლობაში, შექმნილიყო რაც შეიძლება სტრესული ვითარება – ფორიაქი, ნერვიულობა, სტრესი... მოსწავლეს უნდა ჩაებარებინა არაფრის მომცემი გამოცდა იმისთვის, რომ აელო ატესტატი.

რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, მიიღონ თუ არა ატესტატი, გამოცდების დროსაც ასეთივე ტიპის შეფასებით გადიოდა მოსწავლე გამოცდაზე – მასწავლებლები მას, მთელი წლის განმავლობაში, ქულებით აფასებენ. თუკი მაშინ ვენდობოდით, რა საფუძველი გვაქვს იმისთვის, რომ ახლა არ ვენდოთ? მინიმუმ ხუთი ქულა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს ყველა საგანში, რომ ატესტატი მიიღოს. ამის გარდა, მასწავლებლები ატარებენ შემაჯამებელ დავალებებს და მათი გადასაწყვეტია, წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაატარებენ თუ მხოლოდ წლის ბოლოს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

წელს სკოლაში, მეთორმეტე კლასში, შიდა გამოცდა არ დავნიშნე, მაგრამ მეცხრე და მეექვსე კლასებისთვის ნაეკიდან, ყოველ წელს, ვყიდულობ გამოცდას, რომელიც აუცილებლად გვჭირდება სადიაგნოსტიკოდ, რა ხდება ჩვენს სკოლაში ამ კლასებში, რომ ვნახოთ სად უჭირთ მოსწავლეებს და შემდეგ სწორი აქცენტები გავაკეთოთ. აქედან გამომდინარე, ორ საგანში – ქართულსა და მათემატიკაში – აღნიშნულ კლასებში, ვატარებთ გამოცდებს. შედეგებს ცენტრში აანალიზებენ და, ამ ანალიზის საფუძველზე, ვმუშაობთ მასწავლებლებთან. კარგია, რომ მეექვსე კლასში შეფასების ახალი მოდელის პილოტირების პროცესი იწყება, რომელიც შემდეგ ყველა სკოლაში დაინერგება.

## აქტუალური თემა




⇨ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 86 ათასზე მეტი ადამიანი ატარებს კორონავირუსს. გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 3000-ს გადააჭარბა. COVID-19-ით დაავადების შემთხვევები აღირიცხა მსოფლიოს 63 ქვეყანაში. ჩინეთის გარეთ ყველაზე მძიმე ვითარებაა ირანში, სადაც ამჟამად 1500-ზე მეტი ადამიანია დაავადებული, 66 გარდაიცვალა.

⇨ 4 მარტის მდგომარეობით, საქართველოში, კორონავირუსის დადასტურების 3 შემთხვევაა, კარანტინის რეჟიმში – 148, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ – 27.

⇨ საკარანტინო სივრცეში და თვითიზოლაციაში მყოფ მოქალაქეებს სამსახურში გაცდენილი საათები აუნაზღაურდებათ.

⇨ 2 თებერვალს ამ დაავადებისგან სრულად განკურნებულთა რაოდენობამ პირველად გადაუსწრო გარდაცვლილთა რაოდენობას – გარდაცვლილი იყო 305 ადამიანი და სრულად განიკურნა 328.

⇨ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს საჯარო სკოლებში საგაზაფხული არდადეგები გახანგრძლივდა – 2 მარტიდან 16 მარტამდე. ეს დღეები სკოლებმა, შაბათ-კვირის ხარჯზე, აუცილებლად უნდა აღადგინონ. სკოლის დირექცია მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ როდის აღადგენენ, შემდეგ კი პედაგოგებს შეატყობინებს.

⇨ კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და პროფილაქტიკის მიზნით, სკოლებში ინტენსიური სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც სადეზინფექციო სამსახურები ასრულებენ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს დეზინფექცირება 10-მდე დასახელების სხვადასხვა სადეზინფექციო საშუალების გამოყენებით უტარდება.

⇨ მთავრობის გადაწყვეტილებით, 4 მარტიდან, სწავლა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეწყდა.

⇨ საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო საბავშვო ბაღში, 2 მარტიდან 16 მარტის ჩათვლით, არდადეგები გამოცხადდა.

⇨ ამ ეტაპზე ჩაკეტილი გვაქვს საჰაერო და სახმელეთო საზღვარი ჩინეთთან და ირანთან. სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით, სადაც დაფიქსირებულია ახალი კორონავირუსის შემთხვევები, მიმდინარეობს ამ საკითხის განხილვა და ინფორმაციის მოწოდება მოხდება საინფორმაციო საშუალებებით.

⇨ სადიაგნოსტიკო ტესტი (ანალიზი) ტარდება მხოლოდ ინფექციის არსებობაზე ეჭვის შემთხვევაში.

⇨ კორონავირუსის პრევენციისთვის ეროვნული ბიბლიოთეკა ერთი კვირით მუშაობას წყვეტს. 9 მარტიდან, სადეზინფექციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლელებსა და მომსახურების ადგილებში განთავსდება სპეციალური სადეზინფექციო დისპენსერები, რომელსაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემომსვლელი ყველა პირი გამოიყენებს.

⇨ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები წყვეტენ სპექტაკლების ჩვენებას.

⇨ პირბადეების დეფიციტი არის მთელს მსოფლიოში და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. შესაბამისად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები პირბადეების მარაგის შესავსებად. სავარაუდოდ, საქართველოშიც უახლოეს პერიოდში შეივსება მარაგი.

# განათლების სამინისტროს რეკომენდაციები სკოლებს

- ✓ სკოლა ყოველდღიურად დალაგდეს სველი წესით;
- ✓ საკლასო ოთახების, სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოხდეს გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების მდგომარეობაში. ორი ცვლის შემთხვევაში, დალაგდეს 2-ჯერ;
- ✓ ჩატარდეს შენობის გენერალური დასუფთავება როგორც სარეცხი, ასევე სადეზინფექციო საშუალებებით;
- ✓ ტუალეტები, ბუფეტი, სასადილო და სამედიცინო კაბინეტი დასუფთავდეს სადეზინფექციო საშუალებებით;
- ✓ სანიტარიულ-ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავება მოხდეს ყოველდღიურად. უნიტაზის დასაჯდომი ჩასარეცხი ავზის სახელურები და კარების სახელურები გაირეცხოს ცხელი წყლითა და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
- ✓ სასადილოს დასუფთავება მოხდეს ყოველი საუზმე, სადილისა და სამხრის შემდეგ;
- ✓ მაგიდები და ჭურჭელი გაირეცხოს სპეციალური ხსნარებით;
- ✓ დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში (კარის სახელურები, კარები, მაგიდის ზედაპირები);
- ✓ ჰაერ-წვეთოვანი ინფექციის დროს ხშირად განიავდეს კლასები, ოთახები გაიწმინდოს მტვრისგან, დასუფთავდეს სველი წესით;
- ✓ სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგინდეს ტუალეტების დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
- ✓ ნაგვის ყუთების გაცლა მოხდეს მათი 2/3-ზე გავსებისას. გაცლის შემდეგ ნაგვის შემკრებებს ჩაუტარდეს დეზინფექცია;
- ✓ სკოლის ტერიტორიაზე არ დაიშვას უმეთვალყურეო ცხოველები;
- ✓ სკოლაში უზრუნველყოფილი იყოს ნახმარი წყლების მოცილება/არინება და სეპტიკური ავზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ;
- ✓ სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, ჩატარდეს ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება.













აუდიტის ანგარიში

# უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო – რა დარღვევები გამოავლინა აუდიტმა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (მოიცავს 2016-2018 წლების პერიოდს), სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია (მიმოხილვა) და რეკომენდაციები, რამდენადაა უზრუნველყოფილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსფრთხო ფსიქოლოგიური და ფიზიკური გარემო. მიმოხილულია, ასევე, განათლების სამინისტროს მიერ, ცნობიერების ამაღლების კუთხით, განხორციელებული ღონისძიებები.

ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის მონაცემებით, სკოლებში პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით გამოვლინდა. კერძოდ, დაწესებულებების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებით, ნახევარში კი არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, რაც, უდავოდ, უარყოფით ზეგავლენას ახდენს სისტემის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ 21% იყო უზრუნველყოფილი მანდატურით, სკოლების 44% – ვიდეოკამერებით აღჭურვილი. ქვეყნის მასშტაბით, 1 161 (50%) სკოლაა დარჩენილი მანდატურის გარეშე, შესაბამისად, არც მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არსებობს და არც ვიდეოკამერით ფიქსირდება დარღვევები.

ამავე მონაცემებით, არც ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებია ყველა რეგიონში, რაც სერიოზულად აფერხებს ამ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. *„მონაცემთა ბაზა კი, რომელსაც ფლობს მანდატურის სამსახური, არ მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ მოსწავლისათვის ჩატარებული კონსულტაციების თარიღი, შემთხვევის დასრულების პერიოდი და მიღწეული შედეგები. შესაბამისად, შეუძლებელია მონაცემების სრული დამუშავება და ანალიზი შედეგების შესაფასებლად, აგრეთვე, განსახორციელებელი ღონისძიებების დასაგეგმად.*

*მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ფარავს უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების საკითხებს, რომლებიც მე-3 კლასიდან სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში ისწავლება, ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა გამოცემის სახელმძღვანელოში განსხვავებული მოცემულობით არის განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის უფლებების კონვენცია, მოსწავლის უფლებები და ა.შ. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეებს მე-7 კლასამდე არ მიეწოდებათ ინფორმაცია ბულინგის შესახებ.“* – ვკითხულობთ დოკუმენტში.

გამოქვეყნებულ დოკუმენტში, სამინისტროს მიერ მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, არაფორმალური განათლების ფარგლებში, განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისადაა შეფასებული. ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების საკითხებზე კი, მასწავლებელთა მხოლოდ 13%-ს აქვს გავლილი ტრენინგი. აუდიტის განმარტებით, ტრენინგი ნებაყოფლობითია და მასწავლებლებს მისი გავლის ვალდებულება არ აქვთ.

2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ ჩაატარა კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, რომლის მიხედვითაც, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ნაკლები დრო ეთმობა ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. შედეგად, მოსწავლეთა ცოდნა, ამ მხრივ, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირულია. რაც, შესაძლოა, განაპირობებდეს არსებულ სასკოლო გარემოს, სადაც სხვადასხვა საფუძველზე მოსწავლეებს შორის ძალადობა საკმაოდ გავრცელებული რეალობაა.

ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, ანგარიშში, სკოლაში ძალადობისგან თავისუფალი, უსაფრთხო და პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა სახელდება. თუმცა, იქვე განმარტებულია, რომ სკოლებში მოსწავლეთა უსაფრთხოება ჩვენს ქვეყანაში ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება. ამას სკოლებში დარღვევების მაჩვენებლებიც ადასტურებს, მაგალითად, 2016 წელს დაფიქსირდა 143 978 დარღვევის შემთხვევა, 2017 წელს – 135 814, 2018 წელს – 133,033 დარღვევა, ხოლო 2019 წლის 6 თვის მონაცემებით – 387 434.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, 2016-2018 წლებში, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, გახარჯულია 36 981 020 ლარი. ამის ფონზე კი, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა, წლების მიხედვით, უფრო და უფრო იზრდება – 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 38%-ით გაიზარდა. ამასთანავე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით, მზარდია არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობაც, მაგალითად, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, გაზრდილია 35%-ით, ხოლო 2018 წელს – 7%-ით.

ანგარიშში ვკითხულობთ იმასაც, რომ მანდატურის სამსახური სათანადოდ არ თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან. მაგალითად, არ არის შესწავლილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური პროკურატურის მონაცემები არასრულწლოვანთა ინციდენტების შესახებ. საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2016 წლიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით, არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების 36 1 531 შემთხვევა განხორციელდა, ხოლო დევნა დაწყებულია 1 671 შემთხვევაზე. მოცემული დარღვევების 69% მოდის ქურდობაზე. დანაშაულის სტატისტიკა მზარდია წლების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, მანდატურის სამსახურს ექნება შესაძლებლობა, გამოავლინოს ეს მოსწავლეები და გაითვალისწინოს დაფიქსირებული შემთხვევების სახეობები, მანდატურების განაწილებისას.

სხვა ნაკლოვანებებს შორის, აუდიტი დიდ ადგილს უთმობს ფსიქოლოგიური მომსახურების ნაკლოვანებებსაც. სოციალური მომსახურების სააგენტოში, 2016-2018 წლებში, რეფერირებულია 914 შემთხვევა.

2018 წლის მონაცემებით, მანდატურის სამასახურის ფსიქოლოგიური მომსახურების 8 ცენტრი წარმოდგენილია 7 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი, რუსთავი. ფსიქოლოგიური მომსახურების აღნიშნულ ცენტრებში დასაქმებულია 39 ფსიქოლოგი, 11 სოციალური მუშაკი, 2 ფსიქიატრი და ერთი კოორდინატორი. 2019 წლიდან ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრები ზუგდიდსა და ახალციხეში დაემატა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ რეგიონების მიხედვით, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოსწავლე გადამისამართებულია ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად, თუმცა მოცემულ რეგიონში ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი არ ფუნქციონირებს. საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიღება მეზობელ რეგიონებში არსებულ ცენტრებში ხორციელდება. გურიის რეგიონს აჭარის ცენტრი ემსახურება, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს – სამეგრელო-ზემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონს – თბილისის. ამავდროულად, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში დასაქმებული პერსონალის განაწილება არ შეესაბამება მათ დატვირთვას: იქ, სადაც მაღალია მოსწავლეთა მიმართვიანობა, ნაკლები ფსიქოლოგია დასაქმებული იმ ცენტრთან შედარებით, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი დაბალია.

მოსწავლეთა მიმართვიანობა გაზრდილია წლების მიხედვით: 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, 61%-ით გაიზარდა, ხოლო 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით – 17%-ით. 2019 წლის 6 თვეში ცენტრში შესული შეტყობინებების რაოდენობამ 1,932 ერთეული შეადგინა.

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში შესული შემთხვევების 72% რეფერირებულია სკოლიდან, თვითდინებით მიმართვა კი მხოლოდ 28%-ია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მშობლების ცნობიერების დაბალი დონითა და მოსწავლეთა საჭიროების არასათანადო შეფასებით.

აუდიტის ჯგუფმა, შემთხვევითობის პრინციპით, შეარჩია და შეისწავლა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ განხორციელებულ 76 ფაქტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. 76 მოთხოვნილი შემთხვევიდან, 14 მათგანთან (18%) დაკავშირებით ვერ მოხერხდა დოკუმენტაციის მოძიება, 26



შემთხვევაში (34%) მოსწავლის მხრიდან ითქვა უარი ფსიქოლოგის მომსახურების მიღებაზე, ხოლო 36 შემთხვევაში წარმოდგენილია ინდივიდუალური ბარათები. დოკუმენტაცია სრულად არ არის შევსებული და, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ხერხდება ინფორმაციის მიღება, რა სახის სამუშაო ჩატარდა ბენეფიციართან, როგორ მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება და რა შედეგები მიიღო მოსწავლემ კონსულტაციების შედეგად. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ძირითადად, არც ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა ჩანს. დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 36 შემთხვევიდან, 17 შემთხვევაში (47%) მოსწავლის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

გამოკითხული მანდატურების 44% მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის სკოლამ მეტი უნდა იმუშაოს მშობლების ჩართულობის და მათთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიმართულებით. დაინტერესებული მხარეები (სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლის მშობლები, მასწავლებლები, მანდატურის სამსახური) კომპლექსურად უნდა მუშაობდნენ უსაფრთხოების მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისთვის. სამინისტროს მიერ მასობრივი საინფორმაციო კამპანია, სკოლებში ბულინგისა და ინციდენტების აღმოფხვრის მიმართულებით, არ ჩატარებულა, ამასთანავე, არ არის განხორციელებული მშობლებისა და სკოლის ერთობლივი აქტივობები პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების მიმართულებით. გარდა ამისა, სამინისტრო არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას ყველა განხორციელებული ღონისძიების შესახებ, არც დეტალური ინდიკატორები აქვს გაწერილი, არ ხდება განხორციელებული აქტივობების შედეგების გაზომვა და შედეგების შეფასება.

### აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები სამინისტროს:

- ადამიანის უფლებების შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების საკითხების ეფექტიანი დანერგვა და, სკოლების მიხედვით, თანაბარი სწავლება განათლების ყველა საფეხურზე.
- ბულინგის, უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაიგეგმოს და განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები, სადაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული აქტივობები, მისაღწევი შედეგები და პროგრესის შეფასების ინდიკატორები.
- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად, მასწავლებელთა სრული კონტინგენტის უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით ეტაპობრივი გადამზადების მიზნით, სამოქმედო გეგმის შემუშავება და კონკრეტული ვადების განსაზღვრა.

### იმ სკოლებში დაფიქსირებული დარღვევების კატეგორიები, სადაც მუშაობს მანდატურის სამსახური




მოამზადა ლალი ჯელაძე

საერთაშორისო გამოფენა

# კარგი შესაძლებლობა გაცნობიერებული არჩევანის გასაკეთებლად

უმაღლესი და პროფესიული განათლების მე-10 საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც 70-მდე საერთაშორისო თუ ადგილობრივი უნივერსიტეტი და პროფესიული სასწავლებელი მონაწილეობდა, 28-29 თებერვალს, ექსპო ჯორჯიაში გაიმართა. გამოფენის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, მიეღოთ ინფორმაცია საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ასევე, სასტიპენდიო და გაცვლითი პროგრამების, ენის შემსწავლელი კურსების, ადგილობრივი და საერთაშორისო ცენტრების შესახებ. საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, გამოფენაზე გერმანიის, საფრანგეთის, უნგრეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების სასწავლებლები იყვნენ წარმოდგენილი.

გამოფენის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდა განათლების მინისტრის მოადგილე **ნუნუ მიცკევიჩი.** *„დღეს სამინისტრო ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს, რომელიც წელს მეათედ იმართება. განათლების საერთაშორისო გამოფენა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, აბიტურიენტებს და, ზოგადად, სწავლით დაინტერესებულ პირებს, ერთ სივრცეში გაეცნონ უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების პროგრამებს. მინდა აღვნიშნო, რომ წელს გამოფენას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეუერთდა, რომელიც ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს.*

*განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ის საერთაშორისო პროგრამები, რომელთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში. სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს, გაზარდოს განათლების ხარისხი და მაქსიმალურად დაუახლოვოს საერთაშორისო სტანდარტებს."* – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

გამოფენაზე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საკუთარი სტენდით იყო წარმოდგენილი. ცენტრის დირექტორმა, **სოფიო გორგოძემ**, გამოფენის ორგანიზატორებთან და სხვა მონაწილეებთან ერთად, გახსნაზე მისულ სტუმრებს სიტყვით მიმართა. გამოფენის ფარგლებშივე, ცენტრის ორგანიზებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, ღია კარის დღე მოეწყო და აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ცენტრის სტენდზე, დეტალურად გასცნობოდნენ 2020 წლის საგამოცდო სიახლეებს.

უმაღლესი და პროფესიული განათლების მე-10 საერთაშორისო გამოფენაში პირველად მონაწილეობდა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ორი დღის განმავლობაში, გამოფენის სტუმრებს შეეძლოთ დეტალური ინფორმაცია მიეღოთ ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქისა და უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების შესახებ, ჩართულიყვნენ სხვადასხვა აქტივობასა და ღონისძიებაში, ასევე, გაევლოთ წინასწარი რეგისტრაცია უნივერსიტეტში, მათთვის სასურველ პროგრამებზე.

გამოფენა დაათვალიერა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა**, გაეცნო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ პროგრამებსა და აქტივობებს, მათ შორის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტენდსაც და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ უნივერსიტეტის მნიშვნელობას: *„მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ის გარემოება, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერისტეტის აკადემიური პროგრამები მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთადაა შემუშავებული. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ქართველ პროფესორებთან ერთად, ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი პროფესორები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან.*

*მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე იფუნქციონირებს ადრონული თერაპიის ცენტრი, სადაც წარიმართება სიმსივნის სამკურნალო და სამეცნიერო კვლევითი პროცესი როგორც მედიცინის, ასევე სამედიცინო ფიზიკის და ბირთვული ფიზიკის მიმართულებით.*

*ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ადრონული თერაპიის ცენტრს უკვე მრავალი ცნობილი საერთაშორისო პარტნიორი ჰყავს, წამყვანი უნივერსიტეტებისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ცენტრების სახით."*

უმაღლესი და პროფესიული განათლების მე-10 საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში, არაერთი საგანმანათლებლო ღონისძიება დაიგეგმა:

❖ დასაქმების ფორუმი „EXPO JOB", რომელზეც 70-ზე მეტმა კომპანიამ, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, 700-ზე მეტი ვაკანსია წარმოადგინა;

❖ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა გამოცდების შესახებ გამართეს პრეზენტაცია და ყველა დასმულ შეკითხვას უპასუხეს;

❖ მოეწყო ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა აბიტურიენტებისა და სტუდენტების დახმარებას სამომავლო პროფესიის არჩევაში და სხვ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალი წელია მონაწილეობს განათლების საერთაშორისო გამოფენაში. წელს განსაკუთრებულ აქცენტი გაკეთდა ტექნოლოგიებზე. ილიას უნივერსიტეტის სტენდთან სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გამოეცადათ უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი რობოტები, დრონები და გაეგოთ მეტი ტექნოლოგიური პროგრამების შესახებ. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველები ილიას უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ, საბუნებისმეტყველო მიმართულებებს და ახალ საინჟინრო პროგრამებს გაეცნენ.

ეს პროგრამები, როგორც ილიას უნივერსიტეტის რექტორმა, **გიგა ზედანიამ** განაცხადა, უმეტესწილად, სან დიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განვითარდა. მან ხაზი გაუსვა ილიას უნივერსიტეტის ახალი საკვირაო სკოლის მნიშვნელობას მოსწავლეებისთვის: *„საკვირაო სკოლაში მოსწავლეებს ვთავაზობთ სასწავლო კურსებს როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით. მალე გამოცხადდება მიღება ახალ კურსებზე და ეს იქნება კარგი შესაძლებლობა აბიტურიენტებისთვის, გაიცნონ დღევანდელი ცოდნის მრავალფეროვნება და გაცნობიერებული არჩევანი გააკეთონ უნივერსიტეტში ჩაბარებისას."*

ილიას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტების შესახებ საუბრისას პროფესორმა, **ნანა დიხამინჯიამ**, აღნიშნა: *„აქ მოსულ აბიტურიენტებს ელოდებათ სხვადასხვა ტიპის რობოტები, რომელთა დაპროგრამება აქვეა შესაძლებელი. მათ, ასევე, შეუძლიათ ნახონ, როგორ ვიყენებთ დრონებს სხვადასხვა კვლევით პროექტებში და გაეცნონ დრონების კურსს. კვლევების გარდა, ჩვენ ვახორციელებთ სტუდენტურ პროექტებს FabLab-ის საფუძველზე, სადაც FabLab და Zoomout აქსელერატორი ახალგაზრდებს სხვადასხვა ტიპის პროექტების პროტოტიპირებასა და იდეების განვითარებაში ეხმარებათ".*







უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-10 საერთაშორისო გამოფენა საქართველოს ბანკის მხარდაჭერით გაიმართა.

*„საქართველოს ბანკი, როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია, არაერთი წელია მხარს უჭერს განათლებას, აფინანსებს სამაგისტრო სტიპენდიებს დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და ახლა უკვე გერმანიაშიც. ასევე, აფინანსებს განათლებასთან დაკავშირებულ საინტერესო პროექტებს. მაგალითად: ჩივნინგის, ფულ ბრაიტის, სან დიეგოს უნივერსიტეტის სასტიპენდიო პროგრამას. ბანკი წარმატებული სტუდენტებისთვის ქმნის ახალ შესაძლებლობებს. შარშან, ბანკმა ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, ყოველ წელს, ერთი ქართველი სტუდენტი Miami Ad School Europe-ში სრული დაფინანსებით ისწავლის. მოხარული ვართ, ვიყოთ ასეთი მასშტაბური და საერთაშორისო განათლების გამოფენის მხარდამჭერები. საქართველოს ბანკისთვის მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ სტუდენტებს, მიიღონ უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მათთვის სასურველ უნივერსიტეტში, შეიძინონ ევროპული და დასავლური გამოცდილება და აღმოაჩინონ უსაზღვრო შესაძლებლობები. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი, ცოდნა და მიღებული გამოცდილება მოახმარონ საკუთარ კარიერულ წინსვლასა და განვითარებას"*, – აცხადებენ საქართველოს ბანკში.

საერთაშორისო განათლების გამოფენაზე, ყოველწლიურად, ათასობით მოტივირებული სტუდენტი და მათი ოჯახის წევრები ხვდებიან განათლების პრესტიჟულ პროვაიდერებს მთელი მსოფლიოდან. ღონისძიება იზიდავს როგორც პერსპექტიულ სტუდენტებს, დაინტერესებულ მშობლებს, ასევე მეცნიერებსა და აკადემიურ პერსონალს, სამეცნიერო სფეროსთან დაკავშირებულ პროფესიონალებს.

ბაკალავრიატის სტუდენტების, ასპირანტებისა და სკოლის მოსწავლეების მნიშვნელოვანი ნაწილი, საქართველოში, ეძებს საზღვარგარეთ განათლების შესაძლებლობას. ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის პროცესი 2 მარტს დაიწყო, გამოცდები ივლისში ჩატარდება, ამიტომ განათლების საერთაშორისო გამოფენის თარიღად თებერვლის ბოლო რიცხვები შეირჩა, როგორც ყველაზე ეფექტური დრო სტუდენტებისთვის, მიიღონ პირველადი ინფორმაცია ექსპო ჯორჯიაში და ამის საფუძველზე განაგრძონ ძებნა.




მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

სამოდელო გაკვეთილი

# PROBLEMƏ ƏSASLANAN MODEL DERS PLANI



მარტა ისმაილოვა
სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის
სოფელ ალგეთის №1 საჯარო სკოლის
ინგლისური ენის უფროსი
მასწავლებელი

**Fenn:** Ingilis dili
**Müəllim:** Ismailova Marta.
**Mekteb ve tarix:** Algeti №1 nomreli ictimai mektebi, 24-may, 2019.
**Sinif:** $IX^{b}$.
**Sagirdlerin sayi:** 23 sagird, XTES * sagird sinifde yoxdur.
**Vaxt:** 40 deq.
**Dersin adi:** „Teen problems“ (Yeniyetmələrin problemleri).
**Əvvelki bilik:** Şagird oxuduqu mətni qavrayir ve başa duşur,sagird oz düşüncəsini ifadə edir ve həmsinifləri ile qrup şeklinde işləməyi bacarır.
**Dersin meqsedi:** Şagirlər dersin movzusuna uyğun olan kitabda verilmiş mətnle tanış olacaqalar ve mətnlə əlaqədar öz məqsədlərini bildirəcəklər,sinif yoldaşları ilə həmkarlıq ederek öz bacarıqlarını inkişaf etdirmeke çalışacaqlar.
**Dərsin tipi:** Problemin hellinə əsaslanan model dərs.
**Milli tedris planının nəticələri:**

**კითხვა:**

**უცხ.ს.III.6.** მოსწავლეს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს სხვადასხვა სახის ინფორმაციული ტექსტი *(მაგ., დაიჯესტი, ბიოგრაფიული ცნობარი, ანოტაცია და სხვა).*

**უცხ.ს.III.7.** მოსწავლეს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს მცირე ზომის თხრობითი ტექსტი *(მაგ., ადაპტირებული მოთხრობა, მოგონება, ნამდვილი ამბავი და სხვა).*

**უცხ.ს.III.8.** მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები, ნასწავლი ენობრივი ფორმები და მათი ფუნქცია შინაარსიან კონტექსტში.

**წერა:**

**უცხ.ს.III.13.** მოსწავლეს შეუძლია დამხმარე საშუალებებზე დაყრდნობით მცირე ზომის ტექსტების შედგენა და შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოვლენა.

**უცხ.ს.III.14.** წერისას მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ფლობს და ცდილობს გამოიყენოს საბაზისო ენობრივი უნარ-ჩვევები.

**უცხ.ს.III.15.** მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას წერითი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და წერითი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად.

**ლაპარაკი**

**უცხ.ს.III.16.** მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

**უცხ.ს.III.18.** მოსწავლეს შეუძლია დამხმარე საშუალებებზე დაყრდნობით საუბარი.

**უცხ.ს.III.29.** მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან, მეწყვილესთან თანამშრომლობა შედეგების გაუმჯობესების მიზნით

| FƏALLIQ | METOD | SİNİFİN TƏŞKİLİ | RESSURSLAR | VAXT | FƏALLIQIN ƏLDƏ EDECƏYİ NETİCƏLLƏR |
|---|---|---|---|---|---|
| **Fəalləq-1.** Müəllim şagirdllə ri salamlayır ve onları yeni dersin məqsədi, mövzusu ve qiymətləndirme rubrikası ilə tanış edir. Sonra lövhəyə dersin adini yazib, şagirdlərdən xahiş edir ayyaqa durub cütlüklerdə müzakirə etsinlər ki, „muasir dövrdə yeniyetmələr hansı problemlərlə üzləşə bilərlər“ | Beyin həmləsi. Şagirdlerin motivassiyasini yüksəltmə. | Cütlüklərdə | Lövhə, tabaşir | 10 dəqiqə | Şagirdlər dersin məqsədi ve qitmətləndirmə rubrikasi ilə tanış olacaqlar. |
| **Fəalləq-2.** Müəllim şagirdlərdən cütlüklərdə müzakirə etdikləri problemləri soruşub lövheye yazır ve onlarla bərabər bu problemin həll yolarını muzakirə edib, lövhədə qeyd edir. | Sagirdləri yeni movzu ilə maraqlandırma. | Cütlüklərdə | Lövhə, tabaşir | 5 dəqiqə | Şagirdlər danışıq,vizual və audial qavrama bacarıqlarını gəlişdirəcəklər. |
| **Fəallıq-3.** Müəllim şagirdleri 4-nəfərden ibarət gruplara bölür,ve onlardan kitablarında (MACMİLLAN, İnspiration-3, p-40 „TEENS PROBLEMS“) qarışıq halda verilmiş problem ve onların hell yollarını oxuyub qruplarda uyğun şekilde düzsünlər. | əməkdaşlıqla təlim, analitik təffəkür inkişafı. | Qrup hallında | Kitab, qələm | 10 dəqiqe | Şagirdlər real həyatda yeniyetmələrin üzləşdiyi problem ve onların həll yoları ilə tanış olacaqlar. |
| **Fəallıq-4.** Müəllim şagirdlərə kağız parçalarında yazılış, aşağıda verilmiş problemleri paylayır ve sagirdlərdən onların hell yollarının axtarıb tapmalarını xahiş edir. 1.A friend of yours steals a DVD from the supermarket? (you know that it is very bad.) 2. A friend of yous says that dou like my new jacket? (you think that it is awful) 3. Your aunt gives a sweatshirt for your birthday and you do not like the colour? 4. Your friend Maria doesn’t know that her boyfriend is going out with another girl? (but you know). | əməkdaşlıqla təlim, problemin həllinə yönəlmiş düşuncənin inkişafı. | Qrup halında | Kəsilmiş kağız parçaları. | 10 dəqiqə | Şagirdlər real həyatda tez tez rast gəlinən prablemlərlə tanış olub olalrın hell yollarını sinif yoldaşları ilə birge axtarıb tapmaqa çalışacaqlar. |
| Fəqllıq-5. Dərsin yekunu. Çıxış biletləri: Mellim şagirdlərə aşağıda verilən sualldan ibaret olan biletləri paylayır: 1. What do you think which group had the most serious problem? 2. Do you agree with all the advice? 3. If not what advice would you give? | İnkişaf etdirici giymətləndirme, çıxış biletləri. | Fərdi iş | əvvəlcədən hazırlanmış biletlər. | 5 dəqiqə | Sagirdlərin individual giymətləndirmə, müəllimin meqsədə nail olub olmadıqının yoxlanılması. |

### QIYMETLENDIRME: ANALITIK RUBRIKA.

| Kriterilər | Qeyri kafi | Kafi | Yaxşı | Çox yaxşı |
|---|---|---|---|---|
| | 3-4 | 5-6 | 7-8 | 9-10 |
| **İştirak** | Feallıqlarda iştirak etmir və ya çox nadir hallarda iştirak edir. | Nadir hallarda iştirak edir və yalnız bəzi feallıqlara qoşullur. | Aktiv iştirak edir və feallıqların əksərriyətinə qoşulur. | Aktiv iştirak edir və bütün fəallıqlara qoşulur. |
| **Əməkdaşlıq** | Cütlüklərdə\qrupl arda iş zamanı həmkarları ilə əməkdaşlıq etmir və ya çox nadir hallarda əməkdaşlıq edir. | Cütlüklərdə\qrupl arda iş zamanı həmkarları ilə nadir hallarda əməkdaşlıq edir, yalnız bir neçə fəallıqa qoşulur. | Cütlüklərdə\qrupl arda iş zamanı həmkarları ilə tez tez əməkdaşlıq edir. | Cütlüklərdə\qrupl arda iş zamanı həmkarları ilə hər zaman əməkdaşlıq edir. |
| **Problemi həll etmə bacarıqı** | Problemi həll etmə bacarıqı inkişaf etməyib, problemin hellinin heç bir yolunu təklif edə bilmir. | Problemin hellinin yolunu cox nadir hallarda təklif edir | Problemi həll etmə bacarıqı yaxşı inkişaf edib, çox vaxt problemin hellinin yollarını təklif edir. | Problemi həll etmə bacarıqı çox yaxşı inkişaf edib, her zaman problemin hellinin yollarını təklif edir. |



# კომიქსებით სწავლება დაწყებით კლასებში

კომიქსი ვიზუალური ხელოვნების ფორმაა. ეს არის პატარა მოთხრობა, რომელშიც ამბავი სურათების თანმიმდევრობით, მოკლე-მოკლე ტექსტებითა და დიალოგებითაა გადმოცემული. თავდაპირველად კომიქსი გამოიყენებოდა კარიკატურების ილუსტრაციისთვის და გასართობად. დროთა განმავლობაში ის განვითარდა და ლიტერატურულ ფორმად იქცა. ეს ჟანრი ამერიკული კულტურის ნაწილია, თუმცა თანდათანობით სხვა ქვეყნებშიც იხვეჭს პოპულარობას. მართალია, იგი შედარებით ახალგაზრდა ჟანრია, მაგრამ დიდი პერსპექტივა აქვს. კომიქსები, ისევე როგორც სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა, ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებისა. მისი გამოყენება ნებისმიერი საგნის სწავლებისას შეიძლება. მას აქვს პოტენცია, განათლების მიმართ მიდგომა გაათანამედროვეოს და შეცვალოს. კომიქსები, როგორც ეფექტური სასწავლო რესურსი, ფეხს იკიდებს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეშიც. ის თანდათან მკვიდრდება ჩვენს სახელმძღვანელოებში, საბავშვო ჟურნალებსა თუ წიგნებში. ამ ჟანრის ლიტერატურა უყვართ ყველა ასაკის მოსწავლეებს, განსაკუთრებით – უმცროსკლასელებს. როგორც გრაფიკული რომანების პოპულარული ამერიკელი მწერალი ჯოშუა ელდარი თვლის, *„კომიქსებს შეუძლია გადაარჩინოს სიცოცხლე და შეაყვაროს ბავშვებს მსხვილტანიანი წიგნები“*. ეს დასკვნა მან გააკეთა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით, რადგან კომიქსებით სწავლა მისთვის სასიამოვნო პროცესად იქცა. კომიქსების გამოყენება მრავალმხრივ შეიძლება – როგორც წერის, ასევე წაკითხულის გაგებისა და ზეპირმეტყველების უნარების გასავითარებლად. კომიქსებზე ჯგუფური მუშაობა კი, მოსწავლეებს აჩვევს სხვისი აზრის გათვალისწინებასა და ურთიერთდახმარებას.

კომიქსი, პირველ რიგში, ახალისებს კითხვის პროცესს, ეხმარება მოსწავლეებს ასევე პერსონაჟის ქმედებათა გაცნობიერებაში, წარმოსახვის განვითარებაში, აზრის ლაკონიურად ჩამოყალიბებაში. ვისაც ერთხელ მაინც გამოუყენებია კომიქსები სასწავლო პროცესში, დამეთანხმება, რომ მართლაც ეფექტიანი საგანმანათლებლო ინსტრუმენტია – ტვინი, ერთდროულად, ამუშავებს ტექსტს და გამოსახულებას. დადგენილია, რომ ამ დროს ინფორმაციის ათვისება 10-ჯერ უფრო სწრაფად ხდება. მინდა კოლეგებს გავუზიარო გმოცდილება და წარმოგიდგენთ მეოთხე კლასში, კომიქსების გამოყენებით, ჩატარებული გაკვეთილის გეგმას.

**საგანი**: ქართული
**სწავლების საფეხური/კლასი:** დაწყებითი საფეხური, IV კლასი
**მოსწავლეთა რაოდენობა:** 9, მათ შორის 1 სსსმ
**გაკვეთილის თემა:** „კურდღლების მიწისძვრა“ /ზღაპარი/
**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეებმა შეძლონ მოსმენილი ტექსტის გაგება-გააზრება; გაწაფულად კითხვა; ზღაპრის სიუჟეტური ხაზის აღდგენა კომიქსების საშუალებით და შინაარსის გადმოცემა.

**გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:**
გაკვეთილის თემა ეყრდნობა მე-4 კლასის საგნობრივ სტანდარტს. ვფიქრობ, დასახული მიზნები მიგვიყვანს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებამდე. მოსწავლე ისმენს და აკეთებს ტექსტის ანალიზს; გამოხატავს პირად დამოკიდებულებას; კითხვისას, იყენებს სხვადასხვა მეთოდს და გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციას; კომიქსების დახმარებით, აღადგენს სიუჟეტურ ხაზს და მოგვითხრობს ზღაპარს. აღნიშნული მიზანი ეფუძნება შემდეგ ეროვნულ სასწავლო გეგმას:
**ქართ.დაწყ.(I).2.** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა;
**ქართ.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა;
**ქართ.დაწყ.(I).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება;
ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

| № | აქტივობის მიზანი და აღწერა | გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები | სასწავლო რესურსი /დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით/ | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მასწავლებელი ესალმება კლასს და მორიგეს სთხოვს, შეავსოს „დღის მესიჯი“ (რა რიცხვია, რა დღეა და რა გაკვეთილია, რამდენი მოსწავლე ესწრება გაკვეთილს) | დღის მესიჯი<br><br>შეკითხვების დასმა | საერთო საკლასო | დაფაზე წინასწარ გამზადებული „დღის მესიჯი“, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად | 1წთ |
| 2 | **გაკვეთილის მიზნისა და შეფასების პრინციპების გაცნობა**<br>მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი რაზე იქნება ზღაპარში საუბარი, აცნობს მიზანს, ასევე, გაკვეთილზე დაგეგმილ მეთოდებსა და რესურსებს, აქტივობებს, შეფასების რუბრიკასა და შეფასების ფორმებს. ასევე, მოსწავლეების დახმარებით, გაიხსენებენ გაკვეთილზე ქცევის წესებს. | ვერბალური | საერთო საკლასო | დაფაზე დაწერილი აქტივობები, რომლებსაც მასწავლებელი წინასწარ გააცნობს მოსწავლეებს და ისინი ადვილად გადაერთვებიან ერთი აქტივობიდან მეორეზე. | 4წთ |
| 3 | **სამოტივაციო სლაიდშოუ ინდოეთისა და იქ მცხოვრები ხალხების გასაცნობად**<br>მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ დღეს გაეცნობიან ინდურ ზღაპარს. სვამს რამდენიმე კითხვას:<br>• რა იციან ამ ქვეყნის შესახებ?<br>• იქ მცხოვრები ხალხებისა და მათი ტრადიციების შესახებ? და ა.შ.<br>შემდეგ აწყობს პრეზენტაციას და ურჩევს ყურადღებით უყურონ. | პრეზენტაცია | საერთო საკლასო | პროექტორი, ლეპტოპი, ინდოეთსა და იქ მცხოვრებ ხალხზე ინფორმაციის მიწოდება (იხ. დანართი1) | 4წთ |
| 4 | **ტექსტის კითხვა მასწავლებლის მიერ**<br>მოსწავლეებმა შეძლონ ზღაპრის მოსმენა და შინაარსის გაგება-გააზრება. კითხვის დაწყებამადე, მასწავლებელი მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გაესაუბრება სათაურისა და ტექსტის შესაძლო ურთიერთკავშირზე. შემდეგ ეუბნება, რომ ყურადღებით მოუსმინონ ზღაპარს და კითხულობს ტექსტს პაუზებით. თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ, სვამს 1-2 კითხვას. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რა მოხდება შემდეგ მონაკვეთში. | პაუზებით კითხვა | საერთო საკლასო | მასწავლებლის წიგნი, ქართული მე-4 კლასი, ტექსტის გასაცნობად /გორდელაძე, კუხიანიძე/ | 10წთ |
| 5 | **მოსწავლეების მიერ ტექსტის კითხვა**<br>შემდეგ მოსწავლეები გაგრძელებით კითხულობენ ტექსტს. გამოიყენება კითხვის სხვადასხვა მეთოდი. გამოძახება ხდება გამოსაძახებელი ჩხირების საშუალებით. | ინდივიდუალური, როლური კითხვა | ინდივიდუალური | ზღაპრის ტექსტის ქსეროასლები, ინდივიდუალურად საკითხავად | 8წთ |
| 6 | **კომიქსებით ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა და თხრობა**<br>მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, ურიგებს წინასწარ გამზადებულ კომიქსს და სთხოვს, ღრუბლებში ჩაწერონ ტექსტის შესაბამისი დიალოგი. ჯგუფების პრეზენტაციის შედეგად, მივიღებთ ლოგიკური თანმიმდევრობით აწყობილ სიუჟეტურ ხაზს.<br>**ჯგუფური მუშაობის შეფასება მოსწავლეთა მიერ.** | ჯგუფური მუშაობა | მცირე ჯგუფები | წინასწარ დამზადებული კომიქსი თითოეული ჯგუფისთვის. ტექსტის ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება.<br>(იხ. დანართი 2)<br>(იხ. დანართი 3) | 12წთ |
| 7 | **მოსწავლეთა ჩართულობით გაკვეთილის შეჯამება**<br>მოსწავლეები აფასებენ გაკვეთილს და ჩატარებულ სამუშაოს. პასუხობენ კითხვებზე და თვითონაც სვამენ შეკითხვებს. შემდეგ ავსებენ თვითშეფასების სქემას. გაკვეთილის დასრულებამდე, მასწავლებელი მათ ურიგებს „გასასვლელ ბილეთებს“, სთხოვს, ბარათებზე დაწერონ დაფაზე მოთავსებული კითხვის პასუხი და დატოვონ მასწავლებლის მაგიდაზე.<br>**საშინაო დავალება:** „მეორე შანსი“. შეცვალე ზღაპრის დასასრული – რა მოხდებოდა ლომი რომ არ გამოჩენილიყო? | შეჯამება | საერთო საკლასო<br><br>ინდივიდუალური | შეფასების რუბრიკა<br>(იხ. დანართი 4) | 6წთ |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:**
• გაბმულად, სათანადო ტემპითა და შესაბამისი ინტონაციით, ხმამაღლა კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს/ტექსტების მონაკვეთებს;
• მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე;
• მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანმიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს.

**შეფასება:** (იხ. დანართი 3)
**პრეზენტაცია ინდოეთზე, ბმული:** (დანართი 1)
https://drive.google.com/file/d/1L41Ge34f28RrCSC858RYo4safu27SGe7/view
**კომიქსის ბმული:** (დანართი 2)
https://drive.google.com/drive/folders/1XxawzWJO2hJcCX3VS85DBVC-LE8DvaOg

პირველი ჯგუფის დავალება



მეორე ჯგუფის დავალება



მესამე ჯგუფის დავალება



**ჯგუფის თვითშეფასების კითხვარი** (დანართი 3)

| შეფასების კრიტერიუმები | კი | არა | ნაწილობრივ |
|---|---|---|---|
| ჯგუფის ყველა წევრი ჩართული ვიყავით მუშაობაში | | | |
| სწრაფად და სწორად მოვახერხეთ ფუნქციების დელეგირება | | | |
| ჯგუფის წევრები აქტიურად ვთანამშრომლობდით, ვისმენდით და ვიზიარებდით ერთმანეთის აზრს | | | |
| დავიცავით დროის ლიმიტი | | | |

**მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი** (დანართი 4)

| აქტივობები | ამ აქტივობაში ძლიერი ვიყავი | კიდევ დამრჩა შეკითხვები | ვწუხვარ, რომ სათანადოდ ვერ ჩავერთე |
|---|---|---|---|
| კითხვებზე პასუხი, ვარაუდების გამოთქმა | | | |
| ზღაპრის კითხვა | | | |
| ჯგუფურ კომიქსებზე მუშაობა | | | |

**დალი ბობოხიძე**
*ვანის რაიონის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
*http://mastsavlebeli.ge/?p=22703 — აქტივობები გაკვეთილებზე სახალისო ვერბალურ-ვიზუალური ტექსტების შესაქმნელად, 19 ივლისი, 2019, ნესტან კუპრავა*

გამოცდილება

# სოციოემოციური უნარების განვითარება გაკვეთილზე

უნარები, რომლებიც 21-ე საუკუნის ადამიანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სასკოლო ასაკიდან უნდა განვუვითაროთ. მართალია, სოციოუნარების ჩამოყალიბება სკოლამდელი ასაკიდან იწყება, რაც თანატოლებთან ურთიერთობაში გამოიხატება (ადამიანი ჯერ კიდევ ბავშვობიდან სწავლობს პატივისცემას, მეგობრობას, დათმობას, პატიებას და სხვ.), მაგრამ მათი განმტკიცება და უფრო ფართო მასშტაბით გამოყენება სკოლაში ხდება. თუ სკოლამ არ შეუწყო ხელი სოციოემოციური უნარების განვითარებას, ზრდასრულ ასაკში პიროვნების ფორმირების საკითხი სათუო შეიძლება გახდეს. ისეთი უნარები, როგორიცაა: საკუთარი თავის შემეცნება, ემოციების კონტროლი, სხვისი ემოციების გაგება, თვითრეგულაცია, სტრესტოლერანტობა, ემპათია, ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება, მომავლის პოზიტიური ხედვა, სიმტკიცე და დამაჯერებლობა, საკუთარი თავის ზრდის რწმენა მოსწავლემ სწორედ სკოლაში უნდა განავითაროს და განიმტკიცოს, ამ უნარების განვითარების ხელშემწყობი კი მასწავლებელია. სწორად შერჩეული თემა, მიზანი და მასზე გათვლილი შედეგი, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანს დაეხმარება იყოს წარმატებული, იაროს შემართებით, ჰქონდეს მტკიცე ნებისყოფა, იყოს კონკურენტუნარიანი, შეძლოს ემოციების კონტროლი და ა.შ., რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია.

ერთ გაკვეთილზე, ცხადია, ყველა უნარის გამოვლენა არ ხდება, თუმცა, რამდენიმე სოციოემოციური უნარის განვითარებისათვის მაინც უნდა იზრუნოს მასწავლებელმა. ქვემოთ მოცემული გაკვეთილი მოიცავს წყვილ საათს და ორიენტირებულია შემდეგი უნარების განვითარებაზე: საკუთარი თავის შემეცნება, თვითრეგულაცია, სხვისი ემოციების გაგება, ემპათია, ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება, მომავლის პოზიტიური ხედვა, სიმტკიცე და დამაჯერებლობა.

**სწავლების საფეხური/კლასი:** საბაზო, IX
**გაკვეთილის თემა:** ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ – მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა
**გაკვეთილის მიზანი:**
• ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
• მსჯელობა პიროვნების და საზოგადოების დაპირისპირების, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟების ქცევისა და მოქმედების ირგვლივ და დასკვნების გამოტანა;
• მხატვრული ტექსტის გაგებისათვის არამხატვრული ტექსტების მოსმენა და გამოყენება;
• ტექსტის ძირითადი სათქმელის დაკავშირება თანადროულობასთან;
• საკუთარი სწავლის შედეგების შეფასება და პროგრესის ხედვა.
**ე.ს.გ. სტანდარტით მისაღწევი შედეგი:**
**ქართ. IX.6.**მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
**ქართ. IX.9.** მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.
**აქტივობის მიზანი, აღწერა და შედეგი:**
**I გაკვეთილი**
**საორგანიზაციო საკითხების მოგვარება**
**აქტივობა I. „გამოწვევა“ – წინარე ცოდნის გააქტიურება.**
**საშინაო დავალების პრეზენტაცია (8წთ)**
**მიზანი:** წინარე ცოდნის გააქტიურებით ახალ გაკვეთილზე ლოგიკური გადასვლა.
**აღწერა:** ზეპირი ინსტრუქცია: გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი დახატული ემბლემები – „დავიცვათ ბავშვები“ და თქვენი მოსაზრებები – *„ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე, ჩემი ბოლო ეგ არის,“* – თქვენ რას ფიქრობთ უმცროსი ძმის ბედზე?
**შეფასება**: კომენტარი მოსწავლეების, მასწავლებლის
**შედეგი**: გამოვლინდება წინარე მასალის ათვისების, გაგება-გააზრებისა და შეფასების დონე. ხელი შეეწყობა ახალ გაკვეთილზე ლოგიკურ გადასვლას.
**აქტივობა II. „მწერალი და ეპოქა“ (5წთ)**
**მიზანი:** მწერლის თვალსაზრისის გააზრება ეპოქის ზოგად კონტექსტთან მიმართებით.
**აღწერა:** მასწავლებლის პრეზენტაცია
• ინფორმაცია ნაწარმოების დაწერის მიზეზის შესახებ;
• ლიტერატურული ჩანაწერის მიწოდება – ილიას წერილი „სიკვდილისათვის“;
• სტატია 1877 (სოფლის უფროსის არჩევანი).
**შედეგი**: მოსწავლეებს გაუადვილდებათ მწერლისა და ეპოქის ურთიერთმიმართების აქტუალური პრობლემის სოციალურ-ზნეობრივი ხედვა.
**აქტივობა III. პიროვნება და საზოგადოება (32წთ)**
**მიზანი:** ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
**აღწერა: I ინსტრუქცია –** აქტივობა კლასისთვის: გთხოვთ, დააკვირდეთ ფოტოებს (მიეწოდება ელექტრონულად) და უპასუხოთ კითხვას: „რას ასახავს პირველი სურათი, მე-2 სურათი, მე-3 სურათი“. შეკითხვა: პიროვნებისა და საზოგადოების ხედვა ერთფეროვანია? **(5წთ)**
**შეფასება:** სიტყვიერი კომენტარი
**II ინსტრუქცია –** დავალებები ჯგუფში სამუშაოდ
**ა) გთხოვთ წაიკითხოთ ამონარიდები უმცროსი ძმის წერილიდან**, ასევე, წაიკითხოთ შეგონებები და შეაჯეროთ აზრი, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება. (**10წთ)**
I ჯგუფი – *„გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, სანამ ცოცხალი ვარ, ყველას გადავუხდი...“* პარალელურად, კითხულობენ შეგონებებს.
II ჯგუფი – *„შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელ გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა“* (შეგონებებითურთ).
III ჯგუფი – *„განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ თუ მტყუანი, არ ვიცი“* (შეგონებებითურთ).
მოსწავლეები, პარალელურად, კითხულობენ შეგონებებს და პრობლემასთან მიმართებაში გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას.
**ბ) მუშაობა ჯგუფში – გთხოვთ, წაიკითხოთ ამონარიდები და გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება:** *„მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს“...* მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, შემდეგ იმართება დისკუსია (17 წთ).
I ჯგუფი – *„ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკვიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ“.*
II ჯგუფი – *„კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით გამომიწია და...“, „...ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“.*
III ჯგუფი – *„ბიჭო და, იქნება მართლა ჩამოარჩეს!..ნეტავი მეკითხნა. ეჰ, დამცინებდნენ“.*
**შეფასება:** სიტყვიერი კომენტარი
**შედეგი**: მოსწავლე შეძლებს ნაწარმოებში ასახული ფასეულობების აღქმას და მათ მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატვას.
**II გაკვეთილი**
**აქტივობა IV. ტექსტის მნიშვნელოვან ნიუანსზე მუშაობა(12წთ)**
**მიზანი:** ტექსტის მნიშვნელოვან ნიუანსებზე ყურადღების გამახვილებით გააზრება პრობლემისა „ბრბოს ფსიქოლოგია“.
**აღწერა**: **ინსტრუქცია**: გთხოვთ, ეკრანზე წაიკითხოთ ამონარიდები ტექსტიდან და მოამზადოთ პასუხი კითხვებზე:
1. რატომ დასაჯეს დამნაშავე სახალხოდ? 2. ბრბო იქმს სამართალს?
პრობლემიდან გამოსავალი გზების ძიება, მსჯელობენ საკითხზე – „ბრბო და დღევანდელობა“.
**შეფასება:** სიტყვიერი კომენტარი
**შედეგი:** მოსწავლეს შეუძლია ტექსტის მნიშვნელოვან ნიუანსებზე ყურადღების გამახვილება, უკეთ გაიაზრებს პრობლემას. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.
**აქტივობა V. „როცა წიგნს დავხურავ“ (26წთ)**
**მიზანი:** პრობლემის აქტუალობის განხილვა
**აღწერა: ინსტრუქცია:** დავასრულეთ დიდი ილიას ნაწარმოების შესწავლა, ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ, რაზე დაგვაფიქრებს იგი **XXI საუკუნის ახალგაზრდებს.** მონიტორზე შემოგთავაზებთ ფიქრისთვის საკითხებს.
1. ილია – სიკვდილით დასჯის შესახებ და თანამედროვეობა; სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ.
2. პრობლემის წარმოჩენა – *„დავრჩით უბინაოდ, უფულოდ, უთვისტომოდ...“* და თანამედროვეობა – როგორ აისახება ეს პრობლემა დღეს, სიღატაკის აღმოფხვრა, შიმშილის აღმოფხვრა – **მდგრადი განვითარების მიზნებიდან.**
3. ილია – საზოგადოების შეცვლა განათლებით. თანამედროვეობის პრიორიტეტები ამ მხრივ, განათლება 2030-ის ხედვა – **ცხოვრების გარდაქმნა განათლების მეშვეობით**.
4. ილია – პიროვნება და საზოგადოება. **თანამედროვეობა** – მე და საზოგადოება – **შეიცან თავი შენი.**
**შეფასება:** სიტყვიერი კომენტარი
**შედეგი:** მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პრობლემის აქტუალობაზე, თანადროულობასთან დაკავშირებით.
**აქტივობაVI. შეფასება (6წთ)**
**მიზანი:** მოსწავლეთა მიერ გაკვეთილზე მიღწეული შედეგის თვითშეფასება
**აღწერა: ინსტრუქცია:** გთხოვთ, შეავსოთ თვითშეფასების სქემა, წებოვან ფურცელზე **დაწერეთ ერთი ან ორი სიტყვით სათქმელი და წარმოადგინეთ შეფასების ხეზე** (იხ. დანართი 2).
**შედეგი**: მოსწავლემ იცის რა ცოდნა და უნარები შეიძინა ან განივითარა და რა აქვს გასაუმჯობესებელი.
**აქტივობა VII. საშინაო დავალება (1წთ)**
**მიზანი:** მოსწავლემ შეძლოს გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარე.
**აღწერა:** დაწერეთ თვითშეფასება: „ნაწარმოების შესწავლისას რა იყო ჩემი ძლიერი და სუსტი მხარე. რას ურჩევდით საკუთარ თავს“.
**შედეგი:** შეძლებს შეაფასოს საკუთარი შედეგების მიღწევის ხარისხი და განსაზღვროს პროგრესის გზა.
**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:**

| ცოდნა | უნარები |
|---|---|
| • მოსწავლემ იცის ტექსტის შინაარსი;<br>• გაცნობიერებული აქვს წინარე ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობა;<br>• იცის აქტივობების შესასრულებელი წესები და დროის გამოყენება;<br>• იცის როგორ გააანალიზოს ფაქტობრივი, კონცეპტუალური ინფორმაცია და გააკეთოს დასკვნები;<br>• იცის და იცავს ჯგუფში ეთიკურ წესებს;<br>• იცის როგორ მართოს საკუთარი სწავლა გამჭოლი კომპეტენციების მიხედვით. | • შეუძლია ნაწარმოებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;<br>• შეუძლია მსჯელობა შემოთავაზებულ პრობლემასთან მიმართებაში;<br>• შეუძლია ყურადღება გაამახვილოს ტექსტის დეტალებსა და მნიშვნელოვან ნიუანსებზე;<br>• შეუძლია ახალი ინფორმაცია მოისმინოს და გამოიყენოს განსხვავებული ხედვის გასააზრებლად და საკუთარი თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად;<br>• შეუძლია შეაფასოს საკუთარი სწავლის შედეგების ძლიერი და სუსტი მხარე, განსაზღვროს პროცესები;<br>• შეუძლია შესწავლილი დააკავშიროს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. |

**შეფასება:** განმავითარებელი, განმსაზღვრელი (სსსმ მოსწავლე არ მყავს)
**ფასდება:** განმავითარებელი – ცოდნა, სოციოემოციური უნარი – მოსწავლეთა თვითშეფასება; განმსაზღვრელი – დამოუკიდებელი აზროვნება თვითშეფასების რუბრიკით (იხ. დანართი 1 და დანართი 2, საშინაო დავალება – დანართი 3)

**დანართი 1. მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა**

| № | კრიტერიუმი | 2 ქულა | 1 ქულა | 0 ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1 | შემიძლია წინარე ცოდნის გააქტიურებით ვიმსჯელო ახალ სიტუაციაში. | | | |
| 2 | შევძელი პრობლემის სოციალურ-ზნეობრივი მხრიდან დანახვა. | | | |
| 3 | გავაანალიზე პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების მიზეზები. | | | |
| 4 | ნაწარმოებში ასახული ფასეულობებისადმი გამოვხატე საკუთარი დამოკიდებულება. | | | |
| 5 | შევძელი ფიქრი და მსჯელობა პრობლემის აქტუალობის შესახებ თანამედროვე მკითხველისათვის. | | | |
| | **გაგიჩნდათ თუ არა სურვილი ტექსტის ხელმეორედ წაკითხვისა (გახაზეთ) ................ დიახ, არა.**<br>**მოსწავლის სახელი და გვარი: ..........................................................................** | | | |

**დანართი 2. ინსტრუქცია:** *წებოვან ფურცელზე დაწერეთ ერთი ან ორი სიტყვით სათქმელი და წარმოადგინეთ შეფასების ხეზე:*
*1. შევძელი სხვისი ემოციების გაგება ..............................................................................*
*2. ვთანამშრომლობდი ჯგუფის წევრებთან .....................................................................*
*3. გამოვხატე მომავლის პოზიტიური ხედვა ....................................................................*
*4. რა შემძინა გაკვეთილმა .................................................................................................*
*5. რის გაუმჯობესებას ვეცდები ........................................................................................*
*6. რას გავითვალისწინებ ამ ტექსტის სწავლის შემდეგ ...................................................*
**დანართი 3. საშინაო დავალება.** მოსწავლის თვითშეფასება-ინსტრუქცია: *გამოიყენეთ სქემა ნაწარმოების შესწავლისას მიღწეული შედეგების ხარისხის შეფასებისა და პროგრესისათვის.*

| *ძლიერი მხარე* | *სუსტი მხარე* | *რას ურჩევდით საკუთარ თავს* |
|---|---|---|
| | | |

**მოსწავლის სახელი და გვარი: .........................................................................................**

## რეფლექსია

გაკვეთილი ჩავატარე თემაზე ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ – მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა. გამოწვევის ეტაპზე საშინაო დავალებების შეფასებამ მოსწავლეები პოზიტიურად განაწყო, რადგან მოსწავლეთა მიერ შექმნილმა ნახატებმა თითოეულს მოტივაცია და ინტერესი გაუღვიძა გაკვეთილის მიმართ. საინტერესო აღმოჩნდა აგრეთვე მოსწავლეებისათვის მიწოდებული ინფორმაცია აქტივობაში „მწერალი და ეპოქა“.

აღნიშნული გაკვეთილები ჩავატარე ტექსტის ბოლო თავის შესწავლის შემდეგ, ამიტომ შერჩეული აქტივობები მიზნად ისახავდა მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების გამოხატვას, ხელს უწყობდა 21-ე საუკუნის ახალგაზრდისათვის აუცილებელი სოციოემოციური

## გამოცდილება

უნარების განვითარებას. ტექსტიდან შერჩეულმა ამონარიდებმა უფრო მეტად დააფიქრა მოსწავლეები ცხოვრებისეულ საკითხებზე, განიხილეს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი. ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღებისას, გამოიკვეთა მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურა და ჯანსაღი გადაწყვეტილების მიღების უნარი. საინტერესოდ წარიმართა დისკუსია პეტრეს პიროვნებაზე. მოსწავლეებმა გამოავლინეს სამოქალაქო უნარების ფლობა, იმსჯელეს მდგრადი განვითარების მიზნებსა და ილიას ხედვაზე, იმ პრიორიტეტებზე, რაც დღეს აქტუალურია. მიწოდებულმა მასალამ მოსწავლეებს საფიქრალი დაუტოვა სამომავლოდ.

სწორად შევარჩიე სასწავლო რესურსები: ფოტომასალა, რამაც მოსწავლეები დააფიქრა პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირებაზე; თვალსაჩინოებისთვის ფლიფჩარტები, სლაიდებზე მომზადებული ამონარიდები ტექსტიდან და მათთან ერთად მიწოდებული იგავები (ამობეჭდილი სახით). საშინაო დავალებაში შესრულებული ნახატებიც საგაკვეთილო რესურსად გამოვიყენეთ. მოსწავლეებმა შეადგინეს ინიციატივის გამოჩენის გეგმა, საზოგადოების გულგრილობის დასაძლევად. შეფასების ეტაპი იყო შესაძლებლობების გაცნობიერების ერთ-ერთი საშუალება. გაიაზრეს, როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგების გაუმჯობესება. გაკვეთილი დეხმარა მათ ადეკვატურ თვითშეფასებაში, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენით წარმატების გზის დასახვაში, საკუთარი თავის შეცნობაში, სხვისი ემოციების გაგებაში, მომავლის პოზიტიურ ხედვასა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაზრდაში.

გაკვეთილმა მე და ჩემს მოსწავლეებს დაგვანახვა, რომ სოციოემოციური უნარების განვითარებისათვის კიდევ მეტი მუშაობა გვმართებს. შევეცდებით ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ და გავაძლიეროთ მუშაობა აღნიშნული უნარების განვითარებისათვის.

**ნანული ქათამაძე**
*ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის*
*ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
*1. ncp. ge – ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი;*
*2. Maststavlebeli.ge – ინტერნეტგაზეთი;*
*3. „ახალი განათლება“ – 28.03.2019, გვ.2.*









## ახალი ამბები

# ირინა აბულაძემ დაკავებული თანამდებობა დატოვა



განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** დაკავებული თანამდებობა დატოვა. ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მან საკუთარ ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა.

*„მეგობრებო, შემიძლია გაგიზიაროთ ახალი ამბავი. მივიღე გადაწყვეტილება, არსებული პოსტი დავტოვო და ცხადია, გავაგრძელო ამ საქმის და გუნდის ერთგულება რეფორმის დანერგვის შემდეგ ეტაპზე. ჩემს გეგმებზე ოდნავ მოგვიანებით.*

*ძალიან მოკლედ გავიხსენებ ამ პერიოდის ჩემთვის ერთ-ორ მნიშვნელოვან განვითარებას, და აქვე, პირველ რიგში, დიდ მადლობას გადავუხდი ყოფილ მინისტრს, მიხეილ ბატიაშვილს, ჩვენს გუნდს სამინისტროში, ჩემს კოლეგა მინისტრის მოადგილეებს ფინანსთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და სხვა სამინისტროებიდან, ასეთი აქტიური და ნამდვილად შესაშური (7/24) თანამშრომლობისთვის!*

*პირველი ოფიციალური შეხვედრა, დანიშვნიდან პირველივე შაბათს, ფინანსთა სამინისტროში გვქონდა, სადაც ითქვა, რომ უნდა დაიდოს განათლების რეფორმის სისტემური ხედვა ყველა დონეზე, არა ცალკეულად აღებული ზოგადი ან რომელიმე საფეხურის. რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელოვანი მათ შორის კავშირების დანახვა იყო, თუ როგორ უწყობს თითოეული საფეხურის განვითარება შემდეგის განვითარებას ხელს. იმ და შემდეგ ბევრ შეხვედრაზე, მათ შორის საერთაშორისო და საფინანსო ორგანიზაციებთან, ვმსჯელობდით განათლების სისტემის განვითარებაზე, კვლევებსა და საქართველოს სპეციფიკაზე, ესგ ჯგუფის მიერ მომზადებულ კონცეფციაზე, რომელიც რეფორმის დაწყებას სწორედ საკლასო ოთახიდან გულისხმობდა... მიღწევებსა და იმ ფუნდამენტზე, რაზეც აუცილებლად უნდა დაშენებულიყო ეს ხედვა.*

*ამ ყველაფერთან სინქრონში დავიწყეთ მასწავლებლების სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება, საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებლებს შევთავაზეთ არჩევანი – სურვილის შემთხვევაში, მათი ღირსეული გაცილების გზით.*

*წახალისებაზე ორიენტირებული სისტემა, სკოლების მართვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა, ამისათვის სკოლების „დარუქების“ პროექტის დაწყება (რომლის სოფტი MCC/MCA-მ შეგვიძინა), სადაც EMIS-ის ბაზაზე, ამ ეტაპისთვის, სისტემაში ჩაშენდა უამრავი მონაცემი და დაიხაზა საფეხმავლო გზებიც კი, უბნის დონეზეა შესული მონაცემები მოსწავლეების შესახებ და განათლებაზე ხელმისაწვდომობის სრული ანალიზია შესაძლებელი. შემდგომ კი, მოსწავლეთა შედეგებისა და სკოლების თვით/შეფასების ინტეგრირების შესაძლებლობას იძლევა.*

*ეს ყველაფერი კი მიმართულია სკოლების გაძლიერებისკენ – გადაიქცნენ სოციალურ-კულტურულ, მულტიფუნქციურ განათლებისა და აღზრდის კერებად, რაც ასე მნიშვნელოვანია ქვეყნის, რეგიონის და სოფლის გასაძლიერებლად. ამ ხედვის შეთავაზებით, წელიწად-ნახევარში 300 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარის საინვესტიციო პროექტების მოძიება გახდა შესაძლებელი ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან და, ყოველწლიურად, მნიშვნელოვნად მზარდი სახელმწიფო ბიუჯეტის დადასტურება!*

*დიდი მადლობა თითოეულ მასწავლებელს, განათლების მუშაკებს, ჩვენს ყველა დარგობრივ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, ჩვენს სსიპ-ებს, საერთაშორისო პარტნიორებს და პოლიტიკურ გუნდს!*

*„რეფორმა“ პროცესია, მნიშვნელოვანია მუდმივი განვითარება და მდგრადობა, მონაცემებზე დაფუძნებით მუდმივი დახვეწა. ყველაფერი გრძელდება და კიდევ უამრავ და მასშტაბურ სიახლეს შემოგვთავაზებს, რაშიც დიდ წარმატებას ვუსურვებ სამინისტროში ჩემს კოლეგებს!*

*და რა თქმა უნდა, მადლობა მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს, მისი ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის, ჩვენი თანამშრომლობის ყველა ეტაპზე!“* – წერს ირინა აბულაძე.

# მერია სოციალურად დაუცველ სტუდენტებს დააფინანსებს

თბილისის მერიამ, 2 მარტიდან, სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის, განცხადებების მიღება დაიწყო.

სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ის სტუდენტები დაფინანსდებიან, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, 70 000 ან ნაკლებია და სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე სწავლობენ.

სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე სწავლის დაფინანსების გაცემა სემესტრულად, წელიწადში ორჯერ, თითოეული სტუდენტის აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, სასწავლო გრანტის ფარგლებში ხდება. 51-70 ქულის შემთხვევაში, დაფინანსების ოდენობა 50% იქნება, 71-90 ქულის შემთხვევაში – 70%, ხოლო 91-100 ქულის მქონე სტუდენტები სრულ, 100%-იან დაფინანსებას მიიღებენ.

დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა თბილისის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან;




- ცნობა უნივერსიტეტიდან წლიური გადასახადის მითითებით;
- უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშფაქტურა;
- უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა);
- რეკომენდაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა);
- სამოტივაციო წერილი.

რაც შეეხება პირველი სემესტრის სტუდენტებს, სხვა დოკუმენტებთან ერთად, მათ უნდა წარმოადგინონ ცნობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულებისა და შედეგების შესახებ.

დოკუმენტაცია და განცხადება სტუდენტმა პირადად უნდა წარადგინოს. განცხადებების მიღება მიმდინარე წლის 31 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

# BTU ონლაინ სასწავლო ტექნოლოგიებს აამოქმედებს

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი სწავლების დისტანციურ მოდელზე გადადის. ვებინარები, ონლაინ ქვიზები და ტესტირებები და სხვა მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებები – ქვეყნის მოწინავე უნივერსიტეტი ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისთვის, სწავლების ინოვაციურ მიდგომას ნერგავს.

*„ჩვენთვის უმთავრესია სწავლების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და ჩვენი მისიის ერთგულება, რაც გულისხმობს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნას. BTU-ში სწავლის პროცესი 16 მარტამდე შეჩერდა. ამ პერიოდში, უნივერსიტეტში ჩატარდება სადეზინფექციო სამუშაოები. თუმცა, ჩვენი გუნდი მზადაა გარემოებებისთვის, რომელიც შესაძლოა დადგეს 16 მარტის შემდგომ. ვითვალისწინებთ, რომ სტუდენტებისთვის დისკომფორტის შემქმნელია არა მხოლოდ ვირუსის გავრცელების რისკი, არამედ აკადემიური კალენდრის ზაფხულის ცხელ თვეებში გადანაცვლების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, საჭიროების დადგომისთანავე, ავამოქმედოთ დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელი, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა მაღალტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს.*

*BTU-ში სასწავლო პროცესი არ ჩაიშლება. სტუდენტების უსაფრთხოებას უახლესი, მძლავრი ონლაინ სასწავლო პლატფორმებით უზრუნველვყოფთ“* – აცხადებენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში.



თომას გორდონი
„როგორ გავხდე კარგი მშობელი“ (ამონარიდები)
თარგმნა ნინო ჭიაბრიშვილმა

# გულწრფელი მიმღებლობა

არ არსებობს მშობელი, რომლისთვისაც შვილის ყველა ქცევა მისაღებია. მშობლისათვის შვილის ზოგიერთი ქცევა ყოველთვის „მიუღებელ არეში“ იქნება. შევხვედრივარ მშობლებს, რომელთა სადემარკაციო ხაზი ჩვენი ოთხკუთხედის (იხ. სურათი) თითქმის ძირს უახლოვდებოდა, მაგრამ არასდროს შევხვედრივარ უპირობოდ მიმღებ მშობელს. ზოგიერთი მშობლისათვის შვილის ქცევათა უმრავლესობა თითქოს მისაღებია, მაგრამ ისინი მხოლოდ და მხოლოდ კარგი მშობლის როლს თამაშობენ. შესაბამისად, მათი მიმღებლობა არაგულწრფელია. გარეგნულად ისინი ისე იქცევიან, თითქოს იღებენ ქცევას, მაგრამ შინაგანად ეწინააღმდეგებიან.

| |
|---|
| მიმღებლობა |
| არაგულწრფელი მიმღებლობა |
| მიუღებლობა |

დავუშვათ, დედა გაღიზიანებულია იმის გამო, რომ მისი ხუთი წლის გოგონა ძალიან გვიან წვება დასაძინებლად. დედას თავისი გეგმები აქვს – წიგნის წაკითხვა სურს. შვილთან განამაწიას მას, რა თქმა უნდა, ეს საქმიანობა ურჩევნია. მაგრამ, მეორე მხრივ, წუხს იმის გამო, რომ ბავშვს ძილი არ ეყოფა და მეორე დღეს გაღიზიანებული იქნება ან, გამოუძინებლობის გამო დასუსტებული, ადვილად გაცივდება. ამის მიუხედავად, ცდილობს ითამაშოს „დამთმობის“ როლი, არ აიძულებს ბავშვს, დაიძინოს, რადგან ეშინია, არ დაარღვიოს თნმიმდევრულობის პრინციპი. ჩვენ წინაშე არაგულწრფელი მიმღებლობის ნათელი მაგალითია. დედა ისე იქცევა, თითქოს ადვილად ეგუება შვილის გვიან დაძინებას, მაგრამ სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგოს განიცდის. ის შეიძლება საკმაოდ გაღიზიანებული და გაბრაზებულია, სულ მცირე – იმედგაცრუებული მაინც, რადგან ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს.

როგორ მოქმედებს ბავშვზე მშობლის არაგულწრფელი მიმღებლობა? კარგად ვიცით, რომ ბავშვები ზედმიწევნით ზუსტად გრძნობენ მშობლის განწყობას. მათ მშობლების ნამდვილი გრძნობების გამოცნობის უჩვეულო, თითქმის არაბუნებრივი უნარი აქვთ, რადგან მშობლები „უსიტყვო შეტყობინებებს“ – ერთგვარ სიგნალებს უგზავნიან, რომლებსაც შვილები გააზრებულად ან გაუაზრებლად გრძნობენ. შინაგანად გაღიზიანებული ან გაბრაზებული მშობელი აუცილებლად გასცემს საკუთარ თავს გარკვეული სიგნალებით – შუბლის შეჭმუხნით, წარბის აწევით, ხმის განსაკუთრებული ტონით, გარკვეული პოზით, სახის კუნთების დაძაბვით. მცირეწლოვანიც კი ადვილად ულებს ალღოს ამ სიგნალებს, მან გამოცდილებით იცის, რომ სინამდვილეში ამ დროს დედას არ მოსწონს მისი საქციელი. ამრიგად, კონკრეტულ სიტუაციაში ბავშვმა კარგად იცის, რომ მის საქციელს არ ამართლებენ, არ მოსწონთ. ის გრძნობს, რომ მშობელი არაბუნებრივია.

რა ხდება, როცა დედისათვის მიუღებელია შვილის საქციელი, თუმცა მისი ქცევა ბავშვს საწინააღმდეგოს ეუბნება? ბავშვი ამგვარ შეტყობინებას იღებს და იბნევა. ის ერთგვარ „შერეულ შეტყობინებას“, ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო სიგნალებს იღებს – დედის ქცევა ეუბნება, რომ არაფერია, თუ გვიანობამდე არ დაიძინებს, უსიტყვო სიგნალი კი ამცნობს, რომ სინამდვილეში დედას სულაც არ მოსწონს მისი გვიან დაძინება, ბავშვი ჩიხშია. მას დაძინება არ უნდა, მაგრამ არც ის უნდა, რომ არ უყვარდეთ (მიუღებელი იყოს). დედა თითქოს ამართლებს მის გვიან დაძინებას, მაგრამ ეს შუბლის შეჭმუხნა რაღაა? ახლა როგორ მოიქცეს?

ბავშვის ჩიხში მომწყვდევამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს მის ფსიქიკას. ყველას გამოგვიცდია ის უხერხულობა და სიმძიმე, როცა შერეული შეტყობინების მიღების გამო არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. დავუშვათ, მეგობარს ეკითხებით, შეიძლება თუ არა მისი თანდასწრებით სიგარეტის მოწევა. ის გპასუხობთ: „რა თქმა უნდა“. მიუხედავად ამისა, როცა სიგარეტს უკიდებთ, თვალები და სახე უსიტყვო სიგნალით გატყობინებთ მის უკმაყოფილებას. როგორ იქცევით? ან კიდევ ერთხელ ჰკითხავთ მეგობარს: „ნამდვილად იცი, რომ ხელს არ გიშლი?“, ან სიგარეტს განაწყენებული ჩააქრობთ, ან გააგრძელებთ მოწევას იმაზე ნერვიულობით, რომ მეგობარს არ მოსწონს თქვენი საქციელი.

ბავშვები ამავე დილემის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, როცა არაგულწრფელ გამართლებას აწყდებიან. თუ ასეთ სიტუაციაში ყოფნა ხშირად უწევთ, შეიძლება მოეჩვენოთ, რომ ისინი აღარ უყვართ. ამას შედეგად მოჰყვება ხშირი „ტესტირება“ (გამოცდა), შფოთიანობის მძიმე ტვირთი, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა და ა.შ.

მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ენატკბილი, შემწყნარებელი, არამომთხოვნი მშობელი, რომელიც ისე იქცევა, თითქოს შვილის ყველა საქციელს ამართლებს და, იმავდროულად, მიუღებლობის შენიღბულ სიგნალებს უგზავნის, შვილებისათვის ყველაზე ძნელად ასატანი მშობელია.

არაგულწრფელ მიმღებლობას საშიში და მავნე თანმდევი შედეგი აქვს და გრძელვადიან პერიოდში სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია მშობლისა და შვილის ურთიერთობისთვის. „შერეული შეტყობინებების“ მიღებისას ბავშვს მშობლის გულწრფელობის და ბუნებრიობის შესახებ სერიოზული ეჭვები უჩნდება. გამოცდილებით რწმუნდება, რომ ხშირად დედა ერთს ამბობს და მეორეს გრძნობს. დროთა განმავლობაში მის მიმართ ნდობა ეკარგება. ქვემოთ მოტანილია მოზარდების აღიარებები:

*„დედაჩემი ყალბია. თბილად იქცევა, სინამდვილეში კი სულაც არ არის ასეთი“.*

*„ვერ ვენდობი ჩემს მშობლებს, ვიცი, რომ არაფერი მოსწონთ, რასაც ვაკეთებ – მაშინაც კი, როცა ამას არ ამბობენ“.*

*„მამა ისე იქცევა, თითქოს სულ არ ადარდებს, როდის დავბრუნდები სახლში. მაგრამ თუ გვიან დავბრუნდი, მეორე დღეს მებუტება – ასე მსჯის“.*

*„ჩემი მშობლები მკაცრები სულაც არ არიან. ბევრი რამის უფლებას მაძლევენ, მაგრამ ვამჩნევ, როცა რაღაც არ მოსწონთ “.*

*„ყოველთვის, როცა სუფრასთან ცხვირში საყურით ვჯდები, დედას სახეზე ზიზღი ეხატება, თუმცა არასდროს არაფერს ამბობს“.*

*„დედაჩემი ყოველთვის თბილია და მიგებს, მაგრამ ვიცი, რომ მას, როგორც პიროვნება, არ მოვწონვარ. ჩემი ძმა მეტად უყვარს, რადგან ის უფრო ჰგავს“.*

როცა ბავშვებს ამგვარი განცდები აქვთ, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ მშობლები ვერ მალავენ თავიანთ ჭეშმარიტ გრძნობებს და დამოკიდებულებას, თუმცა შეიძლება, თავად ჰგონიათ, რომ კარგად ინიღბებიან. ისეთ ახლო და ხანგრძლივ ურთიერთობაში, როგორიც მშობელი-შვილის ურთიერთობაა, მშობლის ნამდვილი გრძნობები ძნელად იმალება შვილისაგან.

ამრიგად, როცა მშობელი „შემწყნარებლობის“ მომხრეთა გავლენით, საკუთარი ჭეშმარიტი დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ მოქცევას ცდილობს, არა მარტო აფუჭებს შვილებთან ურთიერთობას, არამედ სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს მათ. მშობლებს უნდა ესმოდეთ, რომ უსარგებლოა ეცადონ მიმღებლობის ჩვენებას ნამდვილი დამოკიდებულების საფასურად. გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ისინი ისწავლიან საკუთარ გრძნობებში გარკვევას და არ ეცდებიან მათ შენიღბვას.



# შეგიძლიათ მიიღოთ ბავშვი და არ მიიღოთ მისი ქცევა!

როგორ შეიძლება მიიღოთ შვილი იმისგან დამოუკიდებლად, რას გრძნობთ მისი საქციელისა და ნათქვამის მიმართ? ვინ არის „ბავშვი“, თუ არა ქცევის მქონე, კონკრეტულ დროს კონკრეტული გზით მოქმედი ბავშვი? ის ქცევის მატარებელი ბავშვია, რომლის მიმართაც მშობელს მიმღებლობის ან მიუღებლობის გრძნობა აქვს და არა „ბავშვად“ წოდებული აბსტრაქცია.

დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ასეთია ბავშვის თვალთახედვაც. თუ ის გრძნობს, რომ არ ამართლებთ ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით სუფთა ტახტზე მის კოტრიალს, ვეჭვობ, ასეთი რთული დასკვნა გააკეთოს: მიუხედავად იმისა, რომ არ მოსწონთ მისი საქციელი, ამართლებენ მას, როგორც პიროვნებას. პირიქით, ის აუცილებლად იგრძნობს, რომ რაკი არ ამართლებთ იმას, რასაც ის, როგორც ადამიანი, აკეთებს, არ ამართლებთ თავად მასაც.

ბავშვის დარწმუნება, რომ მშობლისათვის თავად ის მისაღებია, მაგრამ მიუღებელია მისი ქცევა – შესაძლებელიც რომ იყოს ამ ორის გაცალკევება – ისთივე ძნელია, როგორც მისი დარწმუნება იმაში, რომ შვილის ფიზიკური დასჯა მშობლისათვის უფრო მტკივნეულია, ვიდრე თავად მისთვის.

ბავშვის მიერ იმის განცდა, რომ ის, როგორც პიროვნება, მიუღებელია, დამოკიდებულია მისი მიუღებელი ქცევების რაოდენობაზე. თუ მშობლები შვილის ქცევების უმრავლესობას მიუღებლად მიიჩნევენ, ისინი ხელს უწყობენ იმ გრძნობის განვითარებას, რომ ბავშვი, როგორც პიროვნება, მიუღებელია. პირიქით, თუკი მშობლისათვის მისაღებია შვილის ქცევათა უმრავლესობა, ბავშვი იზრდება რწმენით, რომ, როგორც პიროვნება, მისაღებია.

საუკეთესო გზაა, თუ საკუთარ თავს (და შვილსაც) გამოუტყდებით, რომ თქვენთვის ბავშვი, როგორც პიროვნება, მიუღებელია, როცა კონკრეტულ მომენტში „ასე“ იქცევა ან „ამას“ ამბობს. ამგვარად, ბავშვი ისწავლის თქვენს გულღია და გულწრფელ ადამიანად აღქმას და დააფასებს თქვენს ბუნებრიობას.

ასევე, თუ თქვენ ეუბნებით ბავშვს: *„მომწონხარ, მაგრამ შეწყვიტე ამის კეთება“*, ის ამას, როგორც მშობლის დიქტატის გამოვლინებას, ისე აღიქვამს. ბავშვები ვერ იტანენ მშობლების მხრიდან უარის თქმას, შეზღუდვას ან აკრძალვას, მიუხედავად იმისა, როგორი გამართლება ექნება ძალაუფლებისა და ავტორიტარიზმის გამოყენებას. „შეზღუდვების დაწესება“ შეიძლება მშობლების საწინააღმდეგოდ შემობრუნდეს წინააღმდეგობის, ამბოხის, ტყუილისა და ზიზღის სახით. მით უმეტეს, რომ არსებობს, მიუღებელი ქცევის შეცვლის მიზნით, ბავშვებზე ზეგავლენის უფრო ეფექტიანი მეთოდები, ვიდრე მშობლის ძალაუფლების გამოყენებაა „შეზღუდვების დაწესებით“ ან აკრძალვებით.

# ბუნებრივი მშობლების ჩვეული განსაზღვრება

მშობლები ადამიანები არიან და არა ღმერთები. შესაბამისად, არ არის საჭირო, რომ ისინი ყოველთვის უპირობოდ და თანმიმდევრულად ამართლებდნენ. მით უმეტეს, მათ არ სჭირდებათ მიმღებლობის თამაში. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს მიმღებლობა ურჩევნიათ, ისინი კონსტრუქციულად შეხედავენ მშობლების მიუღებლობას, თუკი ეს უკანასკნელნი, თავიანთი ჭეშმარიტი გრძნობების შესახებ, მკაფიო და გულწრფელ სიგნალებს გაუგზავნიან. ეს არა მარტო გაუადვილებს ბავშვებს მიუღებლობის გადატანას, არამედ საკუთარ მშობელში ბუნებრივ, გულწრფელ ადამიანს დაანახვებს – ისეთს, ვისთანაც ურთიერთობა ენდომებათ.

ინფორმაცია

# მარტში საქართველო სამ საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე წარდგება

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის და მწერალთა სახლის ორგანიზებითა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, 2020 წლის მარტში, საქართველო და ქართული ლიტერატურა ლონდონის (10-12 მარტი), ლაიფციგისა (12-15 მარტი) და პარიზის (20-23 მარტი) წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე ეროვნული სტენდებით წარდგება, სლოგანით – Follow the Journey of Georgian Charachters.

**პარიზის წიგნის ბაზრობას (Salon du Livre de Paris)** მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროპის წიგნის ბაზრობებს შორის. ყოველწლიურად, 3000-მდე ავტორი და გამომცემელი ხვდება მკითხველს და წარადგენს ახალ წიგნებს. საქართველოსთვის პარიზის წიგნის ბაზრობაზე მონაწილეობა ქართული ლიტერატურის ფრანკოფონიულ ქვეყნებში პოპულარიზაციის საუკეთესო შესაძლებლობაა, რაც ასევე ხელს შეუწყობს ქართველ და ფრანკოფონ გამომცემლობებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ახალი, ქართული ლიტერატურისთვის განსხვავებული ბაზრის ათვისებას.

მრავალფეროვანი ლიტერატურული პროგრამის ფარგლებში, ღონისძიებები გაიმართება როგორც პარიზის წიგნის ბაზრობის სპეციალურ თემატურ სცენებზე, ასევე ქალაქის ლიტერატურულ სივრცეებში. შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ ლანა ღოღობერიძე, ბესიკ ხარანაული, ლევან ბერძენიშვილი, ლაშა ბუღაძე, გიორგი კეკელიძე, ბასა ჯანიკაშვილი, დავით მაჭავარიანი, დავით ლორთქიფანიძე, ლაშა ბაქრაძე. ქართველ გამომცემლებს საშუალება ექნებათ, ეროვნულ სტენდზე გამართონ შეხვედრები და თავიანთი წიგნები წარუდგინონ უცხოელ გამომცემლებს.

პარიზის აღმოსავლურ ენათა და კულტურათა ეროვნულ უნივერსიტეტში (ინალკო) ჩატარდება კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა თემაზე ისაუბრებენ საქართველოს და საფრანგეთის ლიტერატურული და აკადემიური ინსტიტუციების წარმომადგენლები და ქართველი მწერლები: ბესიკ ხარანაული, ლევან ბერძენიშვილი, ლაშა ბუღაძე. კონფერენციაზე დაანონსდება „2021 წელს თბილისი წიგნის დედაქალაქი" პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები. ღონისძიების მხარდამჭერია თბილისის მერია და UNESCO.

10-12 მარტს საქართველო, ეროვნული სტენდით, მერვედ წარდგება **ლონდონის წიგნის ბაზრობაზე (London Book Fair)**, სადაც ქართველი გამომცემლები ბიზნეს შეხვედრებს გამართავენ უცხოელ კოლეგებთან. სტენდზე დამთვალიერებელი ახალ ქართულ გამოცემებს გაეცნობა და ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ მიიღებს ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ 2020 წელი ბრიტანეთში გამოცხადებულია ქართული სეზონის წლად – Georgian Season. 2020 წლის განმავლობაში კიდევ არაერთი ღონისძიება დაიგეგმება.




ასევე ეროვნული სტენდით წარდგება საქართველო, 12-15 მარტს, **ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე (Leipziger Buchmesse)**. ქართველი მწერლები და ილუსტრატორები: ანა კორძაია-სამადაშვილი, დავით მაჭავარიანი (კაკადუ), ლია სტურუა, სალომე ბენიძე, დინა ოგანოვა და თეონა დოლენჯაშვილი, ბაზრობის ტერიტორიაზე და ლაიფციგის სხვადასხვა ლიტერატურულ და კულტურულ დაწესებულებაში, გამართავენ შეხვედრებს. საქართველო ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე ეროვნული სტენდით მეცხრედ წარსდგება.

სპორტი

# ანტალია შემუსრეს




ქართველი ძიუდოისტებისგან წარმატებებს მიჩვეულები ვართ – უკლებლივ ყველა ასაკში, მაგრამ იმ დონის წარმატება, როგორიც საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებმა, ბოლო უქმეებზე, ანტალიაში ჩატარებულ ევროპის თასზე მოიპოვა, მაინც უჩვეულო და განსაკუთრებულია. ჩვენმა გუნდმა 14 მედალი დაისაკუთრა: 5-5 ოქრო-ვერცხლი და 4 ბრინჯაო. სასიხარულოა, რომ წარმატება, ბიჭებთან ერთად, გოგონებმაც გაიზიარეს. მართალია, მათ მხოლოდ 1 მედალი დაისაკუთრეს, მაგრამ – ოქროსი, დანარჩენი 13 ჯილდო კი ბიჭებმა ირგუნეს.

ბიჭების გამოსვლა ცალკე აღნიშვნას იმსახურებს: მათ ათივე წონაში მოიპოვეს მედლები, ხოლო ოთხ წონაში ქართული ფინალი გაიმართა – 55, 66, 73 და 90 კილოგრამებში! მთლიანობაში, ამ ათი წონიდან ხუთის ფინალში გვყავდა მონაწილე!

მაშ ასე, ანტალიაში გოგონებში ჩემპიონი **ეთერ ასკილაშვილი** (63) გახდა, ბიჭებში – **გიორგი სარდალაშვილი** (55), **კოტე კაპანაძე** (66), **ჯუმბერ მელაძე** (73) და **მიხეილ ჯაფარიძე** (90); ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ **კაკო ჩაფურიშვილი** (55), **ნოდარ ძამაშვილი** (66), **გიორგი ტერაშვილი** (73), **გიორგი მარმალიძე** (81) და **არჩილ მამულაშვილი** (90); მესამე ადგილზე **მალხაზ ბანძელაძე** (50), **თენგიზ ზირაქაშვილი** (60), **ალექსანდრე ლოლაძე** (73) და **უჩა ტაბატაძე** (+90) გავიდნენ. ბიჭებში ბრინჯაოს მედლის მოპოვება კიდევ ხუთ ფალავანს შეეძლო – **ალექსანდრე პაპავა** (55), **დავით გირგვლიანი**, **გიორგი გუგავა** (ორივე – 81) და **შალვა გურეშიძე** (+90) დამამშვიდებლის ფინალში გავიდნენ, მაგრამ საბოლოოდ მეხუთე ადგილზე დარჩნენ. გოგონებში ბრინჯაოსთვის ორმა იბრძოლა, თანაც, გუნდის ლიდერებმა – **ნინო გულბანმა** (70) და **გვანცა სომხიშვილმა** (+70), თუმცა მათაც წააგეს და მეხუთე ადგილებს დასჯერდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მასპინძელ თურქეთს ჩამოვრჩით, რომელიც ტურნირში 179 მოზარდით მონაწილეობდა. თუმცა, მათ გოგონების ხარჯზე გაგვისწრეს, ბიჭებში გუნდურ ჩათვლაში თურქეთსაც ვაჯობეთ და პირველზე ვართ იმის მიუხედავად, რომ მასპინძლებს ბიჭებში ჩვენზე ორჯერ მეტი – 99 მონაწილე ჰყავდა.

დასასრულს, აუცილებლად უნდა ითქვას იმ სასიკეთო გარემოებაზეც, რომელმაც ასეთი შედეგი მოგვცა. ბიჭების ასეთი მაჩვენებელი ფედერაციის მიერ დანერგილი სიახლის დამსახურებაცაა, რომელმაც პირად მწვრთნელთა როლის გასაზრდელად გარკვეული რეფორმები გაატარა – მათ ფინანსებიც მისცა და დამოუკიდებლობაც, ანუ ამ ფულის მათი შეხედულებისამებრ გამოყენების ნება დართო, ოღონდ მწვრთნელებს ფედერაციაში პროექტი უნდა წარედგინათ, სად და როგორ დახარჯავდნენ თანხას, გეგმას კი მწვრთნელთა საბჭო ამტკიცებდა. ფედერაციამ არა მარტო მისცა თანხები, არამედ მათ მუშაობა და გეგმების წარმოდგენაც მოსთხოვა, თან მეთვალყურეობასაც უწევდა თანხების სწორად განკარგვას. ანტალიაში ნანახიდან თუ ვიმსჯელებთ, ამ იდეამ გაამართლა და ეს არ ეხება მხოლოდ მედლებს, ჭიდაობის ხარისხიც გაუმჯობესებული იყო.

განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პროგრესი ჩვენთვის „აქილევსის ქუსლად" ქცეულ ისეთ საჭიდაო კომპონენტში, როგორიცაა ქვეჭიდში ჭიდაობა – ჩვენები ერიდებიან დაბლა, ტატამზე ჭიდაობას. არადა, შებოჭვა, მტკივნეული თუ მახრჩობელა ილეთები ოდითგანვე ძიუდოს შემადგენელი ნაწილი იყო, რაშიც დღემდე მოვიკოჭლებთ, ოღონდ ამ ბავშვებმა ანტალიაში სულ სხვა სურათი გვიჩვენეს – ქვეჭიდში ჭიდაობა ახლა მათი ერთ-ერთი კოზირი იყო და კი არ ერიდებოდნენ მას, პირიქით, ეტანებოდნენ კიდეც. ასეთი თვისობრივი რეფორმები – ხარისხობრივიც და შედეგობრივიც, ათმაგად სასიხარულოა, რადგან ეს მოზარდები უნდა ჩაერთონ პროექტში „2024", რომელიც მომავალი ოლიმპიადისთვის ახალი თაობის აღზრდას ემსახურება. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ფედერაცია უკვე ახორციელებს პროექტს „2020", რომელიც ფრიად წარმატებული აღმოჩნდა – დიდწილად მისი მონაწილეების ხარჯზე გაიზარდა კონკურენცია წონებში და გათანაბრდა საერთო დონე, შედეგად კი, თითქმის ყველა წონაში, მივიღეთ რამდენიმე მაღალი დონის ძიუდოისტი, რომლებსაც თანაბრად შეუძლიათ მთავარ შეჯიბრებებზე მედლებისთვის ბრძოლა. ზოგიერთმა მათგანმა უკვე მოიპოვა კიდეც მედლები სეზონის წამყვან შეჯიბრებებზე, მაგალითად, **ლუკა მაისურაძე** (81) მსოფლიოსა და ევროპული თამაშების მესამე პრიზიორი გახდა, **ლაშა ბექაურმა** (90), რამდენიმე დიდ შეჯიბრებასთან ერთად, ზეპრესტიჟული მსოფლიოს მასტერსი მოიგო და ოლიმპიადაზე წასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია, ხოლო **ბაგრატ ნინიაშვილი** (66) მეორე ევროპული თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი გახდა. იმედია, ანტალიაში ნამყოფი სპორტსმენებიდანაც ბევრს ვიხილავთ მომავალ ოლიმპიადაზე თუ სხვა დიდ შეჯიბრებებზე.

ანტალიურმა შეჯიბრებამ ქალთა ძიუდოშიც მოგვცა ერთი კარგი შედეგი – გამოჩნდა გორელი ასკილაშვილი, რომელიც აქამდეც იმედისმომცემ და თავის თაობაში ერთ-ერთ გამორჩეულ სპორტსმენად მიიჩნეოდა, ახლა ეს იმიჯი საერთაშორისო არენაზეც განამტკიცა. საკმარისია ითქვას, რომ მან თურქეთში გამართული ოთხივე შეხვედრა იპონით მოიგო. თანაც, ოთხივეში ილეთი გააკეთა და არც ერთი არ მოუგია გაფრთხილებებით, თუმცა დასაძრახი არც ეს უკანასკნელია და ისიც ძალის ერთგვარი საზომია. სამაგიეროდ, დასანანი იყო გულბანისა და სომხიშვილის უმედლოდ დარჩენა, თუმცა ეს გოგონებიც რჩებიან ლიდერებად და გვჯერა, თავის სათქმელს ისევ იტყვიან.

ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია – ქართულ ძიუდოში უნიჭიერესი თაობა მოდის!

# გმირობა ტრაგედიის ფონზე

ამ უქმეებზე დიღომში მდებარე ოლიმპიურ პარკში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ სტილში მოჭიდავე ახალგაზრდა ბიჭებსა და უფროსი ასაკის ქალებს შორის.

ეს მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იყო ამ ასაკის ნაკრებ გუნდთა დასაკომპლექტებლად, საიდანაც ეროვნულ ნაკრებამდე ერთი ხელის გაწვდენაა. ამიტომ, ტურნირში დაძაბული ბრძოლები იყო მოსალოდნელი, მით უფრო, რომ ჭაბუკთა ნაკრებიდან გადმოსული ბევრი ნიჭიერი მოზარდიც იბრძოდა ახალგაზრდულ ნაკრებში დასამკვიდრებლად. შეჯიბრებამ მართლაც გაამართლა ეს იმედები, თუმცა სპორტული ღონისძიება ბიჭების შეჯიბრებაში მომხდარმა სამწუხარო ფაქტმა გადაფარა: 74 კილოგრამის ნახევარფინალში თბილისელი **ლაშა მარიამიძე** თავდაუზოგავად იბრძოდა გამარჯვებისთვის და მიზანსაც მიაღწია, თუმცა იმ წუთებში ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მის ამ წარმატებას ტრიბუნაზე მშობელი მამა შეეწირა... მამა ენერგიულად ქომაგობდა შვილს, გულმა კი ემოციურ ფონს ვერ გაუძლო...

სამწუხაროდ, ეს არაა პირველი შემთხვევა მოჭიდავეთა ტურნირში – ანალოგიური ფაქტი რამდენიმე წლის წინაც მოხდა.

მსგავსი ფაქტი ხომ იშვიათია, მაგრამ რაც შემდეგ მარიამიძემ გააკეთა და ის სულის სიძლიერე, რომელიც გამოავლინა, ასევე ფრიად გამონაკლისია... ბუნებრივია, მას არავინ ავალებდა ფინალში ჭიდაობას, **ვლადიმერ გამყრელიძის** წინააღმდეგ, თუმცა მეორე დილით დარბაზში მივიდა და განაცხადა, რომ საღამოს აუცილებლად იჭიდავებდა საჩემპიონო შეხვედრას. საღამოს მართლაც გამოცხადდა დარბაზში, ფინალში მედგრადაც იბრძოლა და გაიმარჯვა კიდეც, ხოლო მოგება მამის ხსოვნას მიუძღვნა, როგორც ის ემოციები, საფინალო სირენის შემდეგ რომ ჰქონდა... ემოციები, რომელსაც მასთან ერთად დარბაზიც შეუერთდა...

ეს ნამდვილად ადამიანური გმირობა იყო...

მარიამიძის გარდა, ბიჭებში ჩემპიონები გახდნენ: გორელი **გიორგი გეგელაშვილი** (57), აჭარის ნაკრების წევრი **თორნიკე ქათამაძე** (61), საჩხერელი (პარალელურად – ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრი) **ლაშა ჩხიტუნიძე** (65), ამბროლაურელი **გიორგი ელბაქიძე** (70), ქუთაისელები – **ბაგრატ გაგნიძე** (79) და **საბა გამთენაძე** (97), გარდაბნელი **გიორგი ნებუნიშვილი** (86), ხონელი (ორეც) **გიორგი ჩანქსელიანი** (92) და თბილისელი **ვასილ ხვისტანი** (125).

ქალთა შორის ჩემპიონის ტიტულს ჭიათურელები – **მირანდა კაპანაძე** (40), **მარიამ გრიგალაშვილი** (50), **თამუნა სამხარაძე** (55), აჭარის ნაკრების წევრი **ანა მახარაძე** (59) და თერჯოლელი **თამუნა ფანჩულიძე** (76) დაეუფლნენ.

# სპორტის საუკეთესო მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წლის საუკეთესო მასწავლებლები დაასახელა სხვადასხვა საგნებში, მათ შორის სპორტიც იყო. ამ საგანში საუკეთესოს წოდება ქარელის №1 საჯარო სკოლის პედაგოგ **ზურაბ ჯუშოშვილს** მიენიჭა. მას საჩუქრად ფულადი ჯილდო, პლანშეტი და ფასიანი საჩუქარი – ტიხრული მინანქარით შესრულებული სპეციალური სუვენირი გადაეცა.

# ძიუდო კასპსაც ესტუმრა

რამდენიმე დღის წინ, კასპის სასპორტო სკოლის დარბაზმა, საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა, უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის. შეგახსენებთ, რომ უფროსი ასაკის ჭაბუკთა პირველობას, თებერვალში, ზესტაფონმა უმასპინძლა და ამაზე ჩვენც ვწერდით. იმ ტურნირში 2003-2004 წლებში დაბადებულები მონაწილეობდნენ, კასპში კი 2005-2006 წლიანებმა იჭიდავეს.

რეგიონებში ასეთი გასვლები ძიუდოს ფედერაციის მიდგომაა, რაც სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას ითვალისწინებს. ამიტომ ხშირად ტარდება შეჯიბრებები თბილისის გარეთ, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. თანაც, ამის გაკეთება ბავშვებში გაცილებით უფრო ადვილია, ვინაიდან ფინანსურად ნაკლებად ხარჯიანია, ვიდრე უფროსთა შეჯიბრებები.

საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ: 42 კგ. – **ნიკოლოზ თოფურია**; 46 კგ. – **დავით კევლიშვილი**; 50 კგ. – **დავით ლომიტაშვილი**; 55 კგ. – **საბა კლდიაშვილი**; 60 კგ. – **გიორგი მიშველიძე**; 66 კგ. – **გიგი მორბედაძე**; 73 კგ. – **ისლამ წინწალაშვილი**; 81 კგ. – **მათე ჩაფურიშვილი**; +81 კგ. – **თამაზ ბიგანიშვილი**.

რუბრიკას უძღვება **ირაკლი თავაძე**

# მოზარდობის ასაკიდან მსოფლიო ყურადღების ცენტრში

*„ავიღოთ ჩვენი წიგნები და კალმები, ისინი ჩვენი ყველაზე ძლიერი იარაღებია. ექსტრემისტებს მუდამ ეშინოდათ და ეშინიათ წიგნების და კალმების. მათ ქალებისაც ეშინიათ.*

*მე მინდა, რომ განათლება თალიბების, ტერორისტებისა და ექსტრემისტების შვილებმა მიიღონ. ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნს და ერთ კალამს შეუძლია შეცვალოს მსოფლიო. განათლება ერთადერთი გამოსავალია. განათლება უპირველესია."*



ეს სიტყვები **მალალა იუსაფზაის** ეკუთვნის, პაკისტანელ აქტივისტსა და ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელს.

მალალა საქვეყნოდ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც 2009 წელს, 11 წლის ასაკში, „ბიბისის" ბლოგერი გახდა, სადაც „თალიბანის" რეჟიმის პარალელურად, საკუთარ ცხოვრებაზე და გოგონების განათლების უფლებებისთვის წერდა. 2009 წელს, პაკისტანში თალიბების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხელისუფლებამ გოგონებისათვის სკოლაში სიარული აკრძალა. 11 წლის მალალამ გადაწყვიტა, დაეცვა თავისი განათლების უფლება, თუმცა მის პროტესტს მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

2012 წელს „თალიბებმა" მისი მოკვლა სცადეს და გოგონა მძიმედ დაჭრეს.

მალალა ახლა დიდ ბრიტანეთში, მშობლებთან ერთად, ცხოვრობს. იქიდანვე აგრძელებს თავის საქმიანობას და ამ სიმამაცისა და სამართლიანობისთვის ასევე მიღებული აქვს ანდრეი სახაროვისა და ანა პოლიტკოვსკაიას სახელობის პრემიები.

2015 წელს დიდ ეკრანებზე იუსაფზაის ისტორიაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი გამოვიდა – „მან მე მალალა დამარქვა". ფილმში ის თავდასხმამდე და თავდასხმის შემდეგ პერიოდს იხსენებს. ფილმის რეჟისორს სურს, რომ 18 წლის პაკისტანელი გოგოს ოცნებები გაამხილოს, მალალას კი მხოლოდ ერთი ოცნება აქვს – *„მინდა მსოფლიოს ყველა გოგო და ბიჭი სწავლობდეს; სკოლაში თანაკლასელების გვერდით, ჩემს მაგიდასთან ჯდომა და კითხვა ჩემი უფლებაა. ყოველი ადამიანის სახეზე ბედნიერი ღიმილის ხილვაა ჩემი ოცნება"* – ამბობს მალალა.

*„დღეს ჩემთვის მისაბაძ ადამიანს შევხვდი... მეტი რა უნდა ვთქვა."*

**გრეტა თუნბერგი**

გასულ კვირას შვედი კლიმატის აქტივისტი, **გრეტა თუნბერგი** მალალა იუსაფზაის ოქსფორდის უნივერსიტეტში შეხვდა, სადაც მშვიდობის დარგში ნობელის ლაურეატი ამჟამად სწავლობს. შეხვედრის ამსახველი ფოტო მალალა იუსაფზაიმ თავის ტვიტერის ანგარიშზე გამოაქვეყნა, წარწერით: *„ერთადერთი მეგობარი, რომლის გამოც სკოლას გავაცდენდი"*.

ორივე ცნობილმა სახემ ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში მოახერხა მსოფლიო ყურადღების მიქცევა: გრეტამ – კლიმატის ცვლილების პრობლემაზე, მალალამ კი ქალებისთვის განათლების მიღების შეზღუდვის გაპროტესტებით.

2014 წელს 17 წლის მალალა იუსაფზაის, ქალების განათლების უფლებისთვის გამორჩენილი ბრძოლისთვის, ნობელის პრემია გადაეცა მშვიდობის დარგში და ყველაზე ახალგაზრდა ადამიანი გახდა, ვისაც ეს ჯილდო მიუღია. გრეტა თუნბერგმა, 2018 წელს, შვედეთში სკოლის გაცდენა დაიწყო, რათა კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი შედეგებით საზოგადოების დაინტერესება გამოეწვია და გლობალური უმოქმედობა გაეპროტესტებინა. საბოლოოდ, მან მასშტაბურ მსოფლიო გაფიცვებს ჩაუყარა საფუძველი, რის გამოც წელს ნობელის პრემიაზეა ნომინირებული მშვიდობის დარგში.


გამომცემლობა „ახალი განათლება" გთავაზობთ



5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული
პროზა ლიტერატურის
შემსწავლელთათვის

წიგნის თარო



**ტესტები ქართულ ლიტერატურაში**
**ეროვნული გამოცდისათვის**

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი



ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში – 6.50 ლარი

ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის – 11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის – 14 ლარი

ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა – 15 ლარი

პროფესიული უნარები 300 მნიშვნელოვანი კითხვა-პასუხებით – 8 ლარი



ინტერაქტიური მეთოდების კრებული – 7 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო – 6 ლარი

I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის – 15 ლარი

პროფესიული უნარები თეორიული მასალა – 15 ლარი

პროფესიული უნარები ტესტები – 15 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება", ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი",
ბ/კ LBRTGE22
**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება"
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

ფასი – 2 ლარი